ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს ა მ რ ე კ ლ ო

ვ ი ყ ვ ე თ  ა რ ა ვ ი ს ი,
დ ა  ვ მ ს ა ხ უ რ ე ბ დ ე თ
ა რ ა ვ ი ს,
თ ვ ი ნ ი ე რ
დ ა მ ბ ა დ ე ბ ლ ი ს ა!

I

---

გამომცემელი –
საქართველოს რესპუბლიკური პარტია

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მიმართვა ქართველი ხალხისადმი

ძმებო, დებო, მამებო და შვილებო!

საბჭოების ე.წ. "კავშირში", რუსეთის სისხლიან იმპერიაში "მოკავშირე რესპუბლიკად" ჩვენს დაპყრობილ სამშობლოში, საქართველოში იწყება დიდი და ნამდვილი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს ჭეშმარიტად სუვერენული სახელმწიფოს შექმნისა და აღორძინებისათვის.

მხოლოდ და მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს თავისი სასიცოცხლო პრობლემები;
მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ საქართველოს ხელეწიფება დაიცვას ქართული ენა;
მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ძალუძს თავისი ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება;
მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანას აქვს სრული ეკონომიკური და კულტურული განვითარების საშუალება.

ჩვენი ეპოქა გრანდიოზული ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლების ეპოქაა; შეუძლებელია, რომ თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი აცდეს ამ ეპოქალურ მოძრაობას მით უმეტეს, რომ მსოფლიოს ამჟამად დამონებულ ხალხთაგან მას ყველაზე მდიდარი გამოცდილება აქვს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისა.

სსრ კავშირი მხოლოდ და მხოლოდ იარაღის ძალითაა -კავშირი", სინამდვილეში იგი არის უამრავ ძალადობასა და დანაშაულზე, ცრუ თეორიებსა და "ბელადების" ავტორიტეტზე აგებული ვეება საპყრობილე, მსოფლიოს უკანასკნელი იმპერია. პოლიტიკურად და იდეოლოგიურად გახრწნილი, ეკონომიკურად და კულტურულად დაცემული იმპერია კომუნისტური პარტიის დიქტატურითა და იარაღის ძალითღა არსებობს; ისტორიულად მისი ბედი კარგა ხანია გადაწყვეტილია: ყველა იმპერია, არანებაყოფლობით "კავშირი" მეტისმეტად განსხვავებულ ხალხთა -

განწირულია დასაღუპავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის სწრაფი ცვლა, როგორც ჩანს, დააჩქარებს ამ პროცესს.

ამდენად, რუსეთის იმპერიაში კიდევ ერთხელ შეიქმნა ხელსაყრელი სიტუაცია დამონებულ ხალხთა სამართლიანი ბრძოლისათვის, სუვერენულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებისათვის, "ურღვევი კავშირის" დარღვევისა და დაშლისათვის; შეუძლებელია, რომ სახელმწიფოებრიობას საუკუნეობით დაჩვეული ქართველი ხალხი ვერ გაერკვეს რუსეთის იმპერიასა და მთელს მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურსა და ეკონომიურ სიტუაციაში და დიდი ეპოქალური ძვრების შემდეგაც სახელმწიფოს გარეშე დარჩეს.

V

საქართველოს ბედი საქართველოშივე უნდა გადაწყდეს. ქართველი ხალხი თავისი ემიგრანტი შვილების იმედზე ვერ იქნება; დიდი სურვილის მიუხედავად, ისინი საზღვარგარეთ ვერ გადაწყვეტენ ჩვენს უდიდეს ამოცანას. ბრძოლის ასპარეზი ამჟამადაც საქართველო და თბილისია და არა პარიზი.

თვით საქართველოში ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს ვერ დაიცავს ვერც ე.წ. დისიდენტური მოძრაობა და ვერც ოფიციალური რეფორმიზმი, ისევე, როგორც-ვერ დაიცვეს ჩეხი და სლოვაკი ხალხების ინტერესები ვერ დაიცვეს დუბჩეკმა და სხვებმა 1968 წლის გაზაფხულზე.

საფიქრია კი იმის ალნიშვნა, რომ მოვლენათა თვითდინებით ჩვენთვის მნიშვნელოვანი არც ერთი პრობლემა არ გადაიჭრება?!

მხოლოდ და მხოლოდ მთელი ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებისი სხვა ხალხების დიდი ნაწილის გაერთიანებითა და კონსოლიდაციით არის შესაძლებელი დიდი ბრძოლის გაგრძელება თავისუფლებისათვის.

სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა საქართველოს რესპუბლიკური პარტია. მისი ძირითადი ამოცანაა უხელმძღვანელოს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების დიდი ნაწილის გაერთიანებას, ბრძოლას თავისუფლებისათვის, სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აღორძინებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპროგრამო მიმოხილვა

## თავი I

### §1. სახელმწიფო-კაპიტალისტური საკუთრება ბიუროკრატიული რეჟიმის ეკონომიური საფუძველი

ოქტომბრის რევოლუციამ ვერ შეძლო მოესპო სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, ვერ შეძლო განეხორციელებინა სახალხო ხელისუფლება-საბჭოების ხელისუფლება.

როგორც ცნობილია, მარქსიზმი სოციალური და ეროვნული უთანასწორობის ეკონომიურ საფუძვლად წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას მიიჩნევს. სოციალური ჩაგვრის მოსპობისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცებისათვის აუცილებელია სოციალისტური რევოლუციის მოხდენა-კერძო საკუთრების მოსპობა და საერთო-სახალხო საკუთრების განხორციელება.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ფაბრიკა-ქარხნები ექსპროპრირებულ იქნა ბურჟუაზიისაგან, გამოცხადდა მიწის ნაციონალიზაცია, ე.ი. მოისპო წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება. ე.ი. სსრ კავშირში არ უნდა არსებობდეს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის საფუძველი, მით უმეტეს რომ სკკპ-მ სამგზის გამოაცხადა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობა დამთავრებულად /1936, 1958, 1977 წწ /.

ბურჟუაზიისაგან წარმოების საშუალებების ექსპროპრიაცია სულაც არ ნიშნავს სოციალიზმს /კაპიტალიზმის პირობებშიც შესაძლებელია სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ნაციონალიზაცია ყოველგვარი რევოლუციის გარეშე/,

ამის შემდეგ აუცილებელია ფაბრიკა-ქარხნების გადაცემა მუშებისათვის, მიწის გადაცემა გლეხებისათვის / ცხადია, გადაცემა გლეხებისათვის და მუშებისათვის ფაქტიურად, არა მხოლოდ დეკრეტებსა და ლოზუნგებში /, ე.ი. წარმოების საშუალებების გადაცემა მწარმოებელთათვის.

ამისათვის კი აუცილებელი იყო სახალხო ხელისუფლების, ამ შემთხვევაში კი საბჭოების ხელისუფლების განხორციელება, რადგან ლოზუნგები: "ფაბრიკა-ქარხნები მუშებს! მიწა გლეხებს!" სხვას არას ნიშნავს, თუ არა იმას, რომ მუშებმა და გლეხებმა თვითონ უნდა მიიღონ მონაწილეობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მთელი სახელმწიფოს მართვაში. ყოველივე ამას მშრომელი მასები უნდა ახორციელებდნენ საბჭოების საშუალებით, სახალხო ხელისუფლების საშუალებით. მაგრამ ბოლშევიკურმა პარტიამ თავიდანვე უარი თქვა სახალხო ხელისუფლებაზე/ე.ი. სოციალიზმზე/. პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპი, ერთპარტიულობა შეუთავსებელი აღმოჩნდა სოციალისტურ დემოკრატიასთან. საბჭოებმა დაჰკარგეს ხელმძღვანელი როლი სახელმწიფოში, ისინი გადაიქცნენ მმართველი პარტიის უბრალო დანამატად. ბოლშევიკურმა პარტიამ თავი გამოაცხადა პროლეტარიატის მოწინავე რაზმად და თვითონ დაიკისრა სახელმწიფოს მართვა ხალხის სახელით. აღმოჩნდა რა მმართველი პარტიის როლში, მან ზურგი შეაქცია საკუთარ პროგრამას, უღალატა პროლეტარიატს დაამყარა რა პარტიის დიქტატურა ნაცვლად პროლეტარიატის დიქტატურისა /პარტიის დიქტატურა კი მუდამ შესაძლებლობას შეიცავს ნახევრადმონარქიული, ტირანული რეჟიმის დამყარებისათვის, რისი მაგალითიც გვქონდა 1922-1953 წწ და რისი განმეორების შესაძლებლობა არც მომავალშია გამორიცხული/, ბოლშევიკური პარტია გადაიქცა ანტიხალხურ, ანტიდემოკრატიულ, შოვინისტურ პარტიად.

სახალხო ხელისუფლება, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს საბჭოების საშუალებით 20-იანი წლებიდან გადაიქცა ფიქციად. ფაქტიურად ქვეყანას მართავს სკკპ და მასზე დაქვემდებარებული მინისტრთა საბჭო. არც ერთი ეს ორგანო არჩევითი არ არის.

ამდენად, უნდა ჩავთვალოთ, რომ სსრკ ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც არასოდეს არ ჩატარებულა დემოკრატიული არჩევნები ხელისუფლების ორგანოებში.

ამრიგად, არ განახორციელა რა სახალხო ხელისუფლება, კომუნისტურმა პარტიამ ფაქტიურად უარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა სახალხო საკუთრებაზე, სოციალიზმზე. მან ვერ შეძლო მოესპო სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ეკონომიური საფუძველი.

საკუთრების ახალი ფორმა, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შეცვალა კერძო კაპიტალისტური საკუთრება, წარმოადგენს სახელმწიფო-კაპიტალისტური საკუთრების ახალ, განსაკუთრებულ ფორმას.

რაში მდგომარეობს საკუთრების ამ ფორმის განსაკუთრებულობა?

1. სსრ კავშირში სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენს საკუთრების ერთადერთ ფორმას /საკოლმეურნეო და ე.წ. პროფკავშირული საკუთრებაც იგივე სახელმწიფო საკუთრებაა, რადგან კოლმეურნეობებსაც და პროფკავშირებსაც იგივე ბიუროკრატიული რეჟიმი განაგებს/, განსხვავებით სახელმწიფო-კაპიტალისტური საკუთრებისაგან მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, სადაც ის არ შეიძლება იყოს საკუთრების ერთადერთი და გაბატონებული ფორმა.

2. სახელმწიფო კაპიტალიზმი სსრ კავშირში შენიღბულია სოციალისტური იდეოლოგიით.

წინააღმდეგობა სოციალისტურ იდეოლოგიასა და სახელმწიფო-კაპიტალიზმს შორის დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაზე სსრ კავშირში. ეს წინააღმდეგობა ერთგვარად ამუხრუჭებს აშკარა ბურჟუაზიული საკუთრების ჩამოყალიბებას / კერძო საკუთრებისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით ძლიერია ომისშემდგომ წლებში/. იქმნება ე.წ. არალეგალური ბურჟუაზია. ომისშემდგომი წლების საქართველოს მაგალითზე აშკარად ჩანს ხელისუფლების შედარებით ლოიალური დამოკიდებულება "იატაქქვეშა მილიონერებისადმი", ფინანსური ოლიგარქიის ჩანასახი. მართალია, ზოგჯერ ხდება ცალკეული საქმოსნების რეპრესირება, მაგრამ ეს უმეტესწილად ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი ინტერესებითაა გამოწვეული, ან იგივე სოციალისტური იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგია, ხალხის

მასებისათვის თვალის ახვევაა /ამის მაგალითიც საქართველოში გვაქვს 70-იან წლებში/. ძირითადად კი შეიძლება დავასკვნათ, რომ არალეგალური ოპოზიციის შექმნა წარმოადგენს სსრ კავშირში საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას.

მაშასადამე, სსრ კავშირში დემოკრატიული თავისუფლების განხორციელებისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის აუცილებელ პირობად გადაიქცა ბიუროკრატიული რეჟიმის დამხობა. სახალხო ხელისუფლების განხორციელება შეუძლებელია სკკპ დიქტატურის პირობებში. ბიუროკრატია წარმოადგენს ორგანიზებულ ძალას, რომელსაც სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი გამოცდილება აქვს. არმიით, მილიციით, პროკურატურით, ციხით, საკონცენტრაციო ბანაკებით იგი ცდილობს საფუძველშივე ჩაახშოს მშრომელი ხალხის, ჩაგრული ერების მისწრაფება თავისუფლებისა და პროგრესისაკენ.

ორგანიზებული ბოროტების წინააღმდეგ საჭიროა ორგანიზებული ბრძოლა ერთიანი სახალხო ფრონტით, მუშათა კლასის, გლეხობის და ინტელიგენციის მტკიცე კავშირი.

მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ინტერესები მოითხოვენ დემოკრატიული თავისუფლების განხორციელებას, სახალხო ხელისუფლებას, პარტიის დიქტატურის მოსპობას.

ჩაგრული ერების ინტერესები მოითხოვენ დემოკრატიულ საზოგადოებას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ თვითონ განსაზღვრონ საკუთარი ცხოვრების წესი და რიგი. თვით რუსი ხალხის ინტერესები მოითხოვს ამას, რადგან "არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს"/კ.მარქსი/.

XX საუკუნის დასაწყისში დაწყებული დიდი ბრძოლა სოციალური და ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ არ დამთავრებულა, ბრძოლა გრძელდება.

ძალაში რჩება წინააღმდეგობა საკუთრების სახელმწიფო-კაპიტალისტურ ფორმასა და შრომის საზოგადოებრივ ხასიათს შორის.

მუშათა კლასი და გლეხობა კვლავ რჩებიან რევოლუციურ ძალად სსრ კავშირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## §2. სსრ კავშირი – რუსეთის იმპერიის მემკვიდრე

როგორც ცნობილია, 1922 წლის დეკემბერში მოსკოვში შემუშავებულ იქნა "დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ". აი, რა იყო ნათქვამი ამ დეკლარაციაში:

"ეს კავშირი არის თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომ თვითეულ რესპუბლიკას უზრუნველყოფილი აქვს უფლება--თავისუფლად გამოვიდნენ კავშირიდან, რომ კავშირის კარი ღიაა ყველა, როგორც ამჟამად არსებული, ისე იმ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც მომავალში წარმოიშობიან, რომ ახალი სახელმწიფო იქნება ღირსეული დაგვირგვინება ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობისა..."

ამ "თანასწორუფლებიანისა" და "ნებაყოფლობითის" უკან რუსული დივიზიები დგანან. სწორედ რუსეთის არმიის ნებით და "უფლებით" დაჰკარგეს ყოველგვარი ნება და უფლება, მასთან ერთად თანასწორუფლებიანობაც თებერვლის რევოლუციის შემდეგ წარმოქმნილმა რესპუბლიკებმა. სსრ კავშირის შექმნა დამთავრდა ამ დეკლარაციის გამოცხადებამდე გაცილებით ადრე, წითელი იმპერიის დივიზიების მიერ დამოუკიდებელი რესპუბლიკების კანონიერი მთავრობების დამხობის შედეგად.

მაშასადამე, სსრ კავშირი შეიქმნა არა დეკლარაციებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, არამედ მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის, უკრაინის, შუა აზიის რესპუბლიკებმა დაჰკარგეს დამოუკიდებლობა პირდაპირი ძალდატანების შედეგად ( მოგვიანებით მათი ბედი გაიზიარეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმაც ). ამდენად, სსრ კავშირი არ შეიძლება წარმოადგენდეს დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ნებაყოფლობით კავშირს.

ცხადია, რომ აშკარა ფიქციას, ტყუილს წარმოადგენს 26-ე ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: "თითოეული მოკავშირე-რესპუბლიკა ინარჩუნებს

კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას"..

რას ნიშნავს კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება?

ცხადია, გამომყოფმა ერმა რეფერენდუმის საშუალებით უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი დადებითად ან უარყოფითად. ასეთი რეფერენდუმის მოწყობა კი შეუძლებელია გამოყოფისათვის სრული აგიტაციის პირობებში. ამის უფლებას კი არ იძლევა სსრ კავშირის კონსტიტუცია. 1977 წლის 7 ოქტომბრის კონსტიტუციის მე-7 თავის 39-ე მუხლი ბრძანებს:

"მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს".

სიტყვა-სიტყვით იგივეა გადმოწერილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 39-ე მუხლში.

ვინ იგულისხმება ამ "საზოგადოებასა და სახელმწიფოში"?

რა თქმა უნდა, მმართველი შოვინისტური ბელადები, რომელიც საკუთარ ინტერესებს მშრომელი ხალხის ინტერესებად აცხადებს, ხალხის სახელით უზრუნველყოფს საკუთარ ხელშეუხებლობას და კონსტიტუციურად აკანონებს ძალადობასა და უკანონობას.

ანტიდემოკრატიული, ანტიხალხური კონსტიტუცია საშუალებას იძლევა ჩახშობილ იქნას ხალხის უკმაყოფილება. საშუალებას იძლევა სოციალური და ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლნი გამოცხადებულ იქნან სისხლის სამართლის დამნაშავეებად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს შოვინისტური ხელისუფლების განუკითხავ ძალადობას არარუსი ერების მიმართ, ხოლო ხალხის მასების მძლავრი მოძრაობისას იგი არ ერიდება გამოაჩინოს თავისი ნამდვილი სახე სისხლიანი მოძალადისა. თბილისში 1956 წლის მარტის დემონსტრაციის დახვრეტას თავისი მასშტაბით შეიძლება შევადაროთ მხოლოდ 1905 წლის სისხლიანი კვირის ამბები.

ველიკორუსული შოვინიზმის მხამიანი ყვავილები იფურჩქნება სსრ კავშირის არსებობის მანძილზე. იგი ეროვნულ საკითხში ადგას რომანოვებისა და პურიშკევიჩების ნაცად გზას - "ახრჩვე არარუსი". სსრ კავშირი არის არა ღირსეული დაგვირგვინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების და ძმური თანამშრომლობის, არამედ ღირსეული დაგვირგვინება რომანოვებისა და ლენიკინების დიდმპყრობელური მისწრაფებებისა. იგი რუსეთის იმპერიის კანონიერი მემკვიდრეა, იგივე ხალხთა საპყრობილე.

სკკპ-მ უღალატა საკუთარ პროგრამას, უღალატა სოციალიზმს, მუშათა კლასის ინტერესებს. ამჟამად იგი წარმოგვიდგება როგორც ყოფილი პარტია - კარიერისტების, გამომძალველების, შოვინისტების მმართველი პარტია. უმძიმეს ბრალდებად ჟღერს ბოლშევიკური პარტიის დამაარსებლის ვ.ი. ლენინის შემდეგი სიტყვები: "სოციალისტური პარტიები, რომლებიც მთელი თავიანთი საქმიანობით არ დაამტკიცებენ ახლაც, რევოლუციის პერიოდშიც და მისი გამარჯვების შემდეგაც, რომ ისინი გაათავისუფლებენ დაჩაგრულ ერებს და დაამყარებენ მათთან ურთიერთობას თავისუფალი კავშირის საფუძველზე, - თავისუფალი კავშირი კი არის ცრუ ფრაზა გამოყოფის თავისუფლების გარეშე, ასეთი პარტიები პარტიები ჩაიდენდნენ ღალატს სოციალიზმის მიმართ" ( ვ.ი. ლენინი, "სოციალისტური რევოლუცია და ერის თვითგამორკვევის უფლება" 1916 წ. ).

ეროვნული საკითხის გადაუჭრელად მრავალეროვანი სახელმწიფოს ასე თუ ისე ხანგრძლივი არსებობა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ეპოქაში, შეუძლებელია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბიუროკრატიული რეჟიმი ცდილობს თავისებურად გადაჭრას ეს საკითხი - სსრ კავშირში შემავალი ერების ტოტალური ასიმილაციით, რუსული ენის ბაზაზე ე.წ. "ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებით". აშკარაა, რომ ასეთ პოლიტიკას პერსპექტივა არა აქვს, იგი აღვივებს უნდობლობას რუსი ერისადმი, სახელს უტეხს მას საერთაშორისო მასშტაბით. ასეთი უგუნური პოლიტიკის შედეგად ბიუროკრატიული რეჟიმის წინაშე აღმართულია უზარმაზარი წინააღმდეგობა - წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა  შ ო ვ ი ნ ი ს ტ უ რ ი  ზ ე დ ა ფ ე ნ ი ს  დ ი დ მ პ ყ რ ო ბ ე ლ უ რ  ზ რ ა ხ ვ ე ბ ს ა  დ ა  დ ა მ ო ნ ე ბ უ ლ ი  ე რ ე ბ ი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებისაკენ სწრაფვას შორის.

წინააღმდეგობა, რომლის გარდაუვალი შედეგია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაგრულ ერებში.

ქართველი ერი იყო და არის ერთ-ერთი ფლაგმანი ამ მოძრაობისა რუსეთის იმპერიაში. საკავშირო მთავრობას მეტისმეტად აღიზიანებს ქართველი ერის ყოველი რეაქცია ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ. ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს ბრალს დებენ ნაციონალიზმსა და სეპარატიზმში, სკკპ ცკ ტრიბუნიდან გვსმენია ასეთი აბსურდული ბრალდებაც, როგორიცაა "ქართული შოვინიზმი". ამაზეა ნათქვამი, "გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო". მაგრამ ამის იმედი ნუ ექნებათ წითელ დანიკინებს. ჯერ არც ერთ დამპყრობელს არაფერი შერჩენია არ გაღმა, არც გამოღმა. გამონაკლისი არც რუსეთის იმპერია იქნება.

ვერ გადაჭრა რა ეროვნული საკითხი, რუსეთის იმპეწარმოშვა დაუძლეველი წინააღმდეგობა - წინააღმდეგობა ველიკორუსულ შოვინიზმსა და დამონებული ხალხების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას შორის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არის ის რევოლუციური ძალა, რომელიც ბოლოს მოუღებს უკანასკნელ მოჰიკანს იმპერიათა შორის - რუსეთის იმპერიას.

## თავი II

### §1. საქართველოს რესპუბლიკური პარტია (სრპ) - საერთო-სახალხო მოძრაობის გამომხატველი

რევოლუციამ იმედი გაუცრუა ქართველ ხალხს. მრავალწლიანი სისხლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და პროგრესისთვის მარცხით დამთავრდა. აღმოჩნდა რა მმართველი პარტიის როლში, კომუნისტურმა პარტიამ პირველ რიგში ჩაგრული ერების ინტერესებს შეაქცია ზურგი. იგი გადაიქცა გარკვეული ჯგუფების პირადი მიზნებისათვის ბრძოლისა და ბნელი ინტრიგების ასპარეზად.

მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა სკკპ სისხლიანმა დიქტატურამ, მაგრამ მშრომელ ხალხს

ბრძოლა არ შეუწყვეტია, იგი არ გაჩუმებულა.
ჩაგრული ერებისათვის, და მათ შორის ქართველი ერისათვის სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა განუყოფელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან. სრპ დევიზია - ეროვნული თავისუფლების მოპოვების გზით სოციალური უთანასწორობის მოსპობა.

ამდენად, იგი გამოხატავს ქართველი ხალხის საერთო - სახალხო მოძრაობას. ეროვნული და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში სრპ ეყრდნობა მუშათა კლასს, გლეხობას, ინტელიგენციას.

მუშათა კლასს მარქსიზმი ყველაზე ორგანიზებულ, ყველაზე რევოლუციურ კლასად, რევოლუციის ჰეგემონად მიიჩნევს. სკკპ თავს აცხადებს მუშათა პარტიად, მაშინ როდესაც რევოლუციის შემდეგ მუშათა კლასმა დაჰკარგა ხელმძღვანელი როლი პარტიასა და საბჭოებში, იგივე "მარქსისტები" სსრ კავშირში ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ მუშათა კლასის ორგანიზება, რადგანაც იგი მაინც რჩება დიდ პოტენციურ ძალად დემოკრატიისა და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. კომუნისტური პარტია კრძალავს მუშათა ასოციაციებს, თავისუფალ, დემოკრატიულ პროფკავშირებს. იგი აღვივებს ეროვნულ შუღლს, მოქმედებს რა- კლასიკური პრინციპით - "გათიშე და იბატონე".

წარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპი უზრუნველყოფს მუშათა კლასის უუფლებო მდგომარეობას, არსებული პროფკავშირების სრულ დამოკიდებულებას ადმინისტრაციისადმი. საკუთარი უფლებების დასაცავად მუშებს უხდებათ მიმართონ გაფიცვებს, დემონსტრაციებს და სხვა უკიდურეს ღონისძიებებს, ცდილობენ შექმნან თავისუფალი პროფკავშირები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ მუშათა კლასის ბრძოლას ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ.

უხვად იყენებს რა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ბურჟუაზიული არსენალიდან აღებულ საშუალებებს, სკკპ მუშათა კლასის გასათიშავად ქმნის ე. წ. "მუშათა არისტოკრატიას".

რას წამოადგენს ეს მუშათა არისტოკრატია? მუშათა გარკვეულ ფენას ენიჭება პრივილეგირებული მდგომარეობა ძირითად მასასთან შედარებით. მეტი ანაზღაურება იგივე მოცულობის სამუშაოს შესრულებისათვის, საარსებო პირობების დაკმაყოფილება პირველ რიგში და სხვა. "მუშათა არისტოკრატიას" ეძლევა პრესა, ტრიბუნა, რადიო, ტელევიზია. იგი "მონაწილეობს" სახელმწიფოს მართვაში. "მუშათა არისტოკრატიის " რიგებიდან ხდება უმაღლესი საბჭოს დეპუტატების "არჩევა". არჩევნების არსებული სისტემა უზრუნველყოფს კომუნისტური პარტიისათვის სახელმწიფო ორგანოებში მისთვის სასურველი შემადგენლობის არჩევას. ამომრჩეველს არა აქვს მისთვის სასურველი კანდიდატის დასახელების უფლებაც კი. მან ან უნდა მისცეს ხმა კომუნისტების მიერ წამოყენებულ კანდიდატს, ან საერთოდ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. მაგრამ ამასაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან არჩევნებს კონტროლს უწევს თვით კომპარტია და თუ მისი კანდიდატები ვერ მიიღებენ ხმების საჭირო რაოდენობას, მას არ უჭირს არჩევნების შედეგების ფალსიფიკაცია. არჩევნების შედეგად დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება სსრ კავშირში არ შეიძლება.

მუშებისათვის არ არის უზრუნველყოფილი 8 საათიანი სამუშაო დღეც კი. ფაქტიურად მუშას უწევს კვირაში 6-7 დღის განმავლობაში 10-11 საათს მუშაობა, თითქმის ნორმაზე ორჯერ მეტი საათის გამომუშავება, რომ ოდნავ მაინც დაიკმაყოფილოს საარსებო მოთხოვნილება.

იგივე მდგომარეობაშია გლეხობა და ინტელიგენცია. სსრკ სოფლის მეურნეობა სულს ღაფავს. კომპარტიის უუნარობამ, გამოიყვანოს ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან, უკიდურესად გააუარესა გლეხობისა და საერთოდ მთელი მშრომელი ხალხის მატერიალური მდგომარეობა. სხვადასხვა ყრილობებისა და პლენუმების ფარისევლური განცხადებები ვერ იხსნის შიმშილისაგან რუსეთის იმპერიის ხალხებს და ვერც მილიონობით ვალის დასაფარავად გამოდგება.

1978 წლის კოლმეურნეთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ საქართველოს სსრ-ში შეადგინა 88,5 მანეთი (ე.ა. შევარდნაძის სიტყვა ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, გაზეთი "კომუნისტი" N17379). ცხადია, ეს მათხოვრული ანაზღაურება არ მეტყველებს მატერიალურ კეთილდღეობაზე და კოლმეურნეობების ეფექტურობაზე. სკკპ-ს არ შეუძლია დასახოს სწორი გზები სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამისათვის მან უარი უნდა თქვას მესაკუთრის როლზე, ეს კი ნიშნავს საკუთარი დასაყრდენის ნგრევას. ბიუროკრატიული რეჟიმისაგან ამის მოთხოვნა მიამიტობაა, სხვა არაფერი.

ცნობილია, რომ მიწების 99% სახელმწიფოს ხელშიაა ეს 99% იძლევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაახლოებით 70% -ს, მაშინ, როცა გლეხების ხელში დარჩენილი 1% იძლევა პროდუქციის 30%-ს. ეს ნათლად მეტყველებს, თუ რამდენად არაეფექტურია სსრ კავშირში სკკპ-ს მიერ გატარებული აგრარული პოლიტიკა. ძირითადი მიზეზი ამისა კი არის გლეხების დაუინტერესებლობა კოლმეურნეობების შემოსავლით. კოლმეურნეობების შემოსავალი გლეხებს არ აწუხებთ. ის 88,5 მანეთი არსებობის შესანარჩუნებლადაც არ კმარა. გლეხს არც იმის საშუალება აქვს, ბაზარზე თავისუფლად გაიტანოს საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული მოსავალი და ოდნავ მაინც აინაზღაუროს კოლმეურნეობაში თითქმის უქმად დაკარგული შრომა. იგი იძულებულია ნედლეული სახელმწიფოს მიჰყიდოს და შემდეგ პროდუქცია შეისყიდოს მისგან სამმაგ ფასებში. სახელმწიფო აქაც კაპიტალისტის როლში გამოდის.

ისევე, როგორც მუშათა კლასის ძირითად მასას გლეხობას არა აქვს საშუალება, გამოიყენოს კონსტიტუციური უფლებები, აირჩიოს საკუთარი წარმომადგენლები ხელისუფლების ორგანოებში, დაიცვას თავისი ინტერესები, იგი ვერ ირჩევს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასაც კი. იგივე "მშრომელთა არისტოკრატია" თანამშრომლობს ბიუროკრატიასთან.

განსაკუთრებით მძიმე დღეშია ინტელიგენცია. მან გადაიტანა 30-იანი წლების წითელი უსაშინლესი ტერორი. ნათელი გონება მუდამ იყო და არის ტირანიის დევნის საგანი.

ბიუროკრატიულმა რეჟიმმა შეიწირა მსხვერპლად ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები:

სანდრო ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, მოსე გოგიბერიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გრიგოლ წერეთელი და მრავალი სხვა.

ინტელიგენციის წინააღმდეგ განსაკუთრებით გააფთრებით იბრძვიან წითელი კომისრები. საღი აზრის დათრგუნვა, საზოგადოების ტერორიზება და დაშინება, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოყენება ინტელიგენციის გასათიშავად, იგივე პრივილეგირებულ ზედაფენაზე დაყრდნობით.

მაშასადამე, მშრომელი ხალხის უუფლებობა სსრ კავშირში ნათელია. ამით უზრუნველყოფილია დიდმპყრობელური ბიუროკრატიის ბატონობა მცირე ერებზე.

ჩაგრული ერების განთავისუფლების გარეშე შეუძლებელია სოციალური თავისუფლების განხორციელება. ხალხმა თვითონ უნდა მართოს სახელმწიფო, თვითონ უნდა წარმართოს სახალხო მეურნეობა. იგი ვერ დაკმაყოფილდება პასიური მჭვრეტელის როლით, თუ როგორ ატყუებს და ყვლეფს მას ე.წ. "მშრომელთა არისტოკრატია" ე.წ. "სოციალისტური შრომის გმირების", უმაღლესი და სხვა საბჭოების დეპუტატების, ცრუმეცნიერთა, ცრუხელოვანთა სახით.

"მშრომელთა არისტოკრატია" არ არის და არც შეიძლება იყოს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი. იგი წარმოადგენს დაქირავებულ ტაშისმკვრელთა ხროვას, ნასუფრალით გამძღარ მოღალატეებს.

მშრომელებს უნდა ჰქონდეთ ორგანიზაცია, რომელიც მათ ინტერესებს დაიცავს ადმინისტრაციის წინაშე, მეპატრონეთა წინაშე ( დიახ, მეპატრონეთა წინაშე, რადგან მმართველი ზედაფენა სხვა არა არის რა გარდა კოლექტიური მესაკუთრისა ).

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა ვერ დაიძლევა გლეხებისათვის მიწის გადაუცემლად.

საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია სრული დემოკრატია, ე.ი. ბრძოლა დემოკრატიისათვის. სსრკ-ში დემოკრატიისათვის ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მეურნეობა სულს ღაფავს.
„განუხრელად" ( კომუნისტთა საყვარელი ტერმინი ) უარესდება მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. საფრთხეშია ერის ზნეობა. მატერიალური და სულიერი გაჩანაგების გზაზეა მისული ერი, რომელსაც არა მცირედენი ღვაწლი მიუძღვის მსოფლიო კულტურის, მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე. ქართველი ერი გამოსავალს ეძებს, მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებას შეუძლია აღადგინოს დაცემული. საქართველოში დემოკრატიისათვის ბრძოლამ ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჰპოვა გამოხატულება.

- დამოუკიდებელი საქართველო - ეს არის და მხოლოდ ეს შეიძლება იყოს სრპ მიზანი.

- რატომ გადაიქცა ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა სახალხო მოძრაობის წარმმართველ ძალად? წინა თავში გამოვლენილ იქნა ბიუროკრატიის ძირითადი წინააღმდეგობანი:

1. წინააღმდეგობა საკუთრების სახელმწიფო - კაპიტალისტურ ფორმასა და წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს შორის.

2. წინააღმდეგობა ველიკორუსულ შოვინიზმსა და დამონებული ხალხების ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვას შორის.

ეს ორი ძირითადი წინააღმდეგობა განსაზღვრავს სსრ კავშირში დემოკრატიული მოძრაობის წარმმართველ ძალებს. მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის სწრაფვა დემოკრატიული თავისუფლებისაკენ, სოციალური უსამართლობის მოსპობისათვის განაპირობებს ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ საერთო სახალხო მოძრაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მუშათა კლასი და გლეხობა კვლავ წარმოადგენენ რევოლუციურ ძალას.

და მეორე, ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიმართულია ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია მცირე ერებში.

სსრ კავშირში სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლა დიდი სიძნელეების წინაშე დგას. ათეული წლების მანძილზე ხალხი შეეჩვია იმ აზრს, რომ სსრ კავშირი სოციალისტური სახელმწიფოა, რომ აღარ არის სოციალური ჩაგვრის ეკონომიური საფუძველი - კერძო საკუთრება, მით უმეტეს, რომ ხალხის წარმოდგენაში შექმნილი კაპიტალისტების ტიპი სსრ კავშირში

არ არის, რომ არსებული "დარღვევები" და "ნეგატიური მოვლენები", "ზოგიერთი უპასუხისმგებლო ხელმძღვანელის" ბრალია და ა.შ. ამან განსაზღვრა სწორედ რეფორმიზმის გაბატონება სოციალურ მოძრაობაში (ქრძოლა დემოკრატიული პროფკავშირებისათვის, დისიდენტური მოძრაობა და სხვა. )

სრპ ვერ შეურიგდება რეფორმიზმს თავის რიგებში. იგი მებრძოლი რევოლუციური პარტიაა. ოქტომბრის რევოლუციის მარცხის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მან ვერ შეძლო ჩაგრული ერების განთავისუფლება, მოსპო რა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, მან მაინც ვერ მიაღწია სოციალიზმის გამარჯვებას, ვინაიდან ველიკორუსულმა შოვინიზმმა სახელმწიფო საკუთრება ექსპლუატაციის იარაღად გადააქცია.

ამრიგად, ჩაგრულ ერებში მხოლოდ ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა ჩაითვალოს საერთო სახალხო მოძრაობის წარმმართველ ძალად, ვინაიდან ეროვნული საკითხის გადაუჭრელად სსრ კავშირში შეუძლებელის დემოკრატიულ გარდაქმნებზე ლაპარაკიც კი. სახელმწიფოში სადაც მოსახლეობის ნახევარი ეროვნულ ჩაგვრას განიცდის, შეუძლებელია თვით რუსი ხალხისათვის დემოკრატიული თავისუფლების განხორციელება. სწორედ ეროვნული პოლიტიკა განსაზღვრავს ბიუროკრატიზმის არადემოკრატიულობას. ბიუროკრატიული რეჟიმი იძულებულის სასტიკი ექსპლუატაცია გაუწიოს საკუთარ ხალხს, რათა მონობაში იყოლიოს არარუსი ერები.

ამრიგად, ეროვნული საკითხის გადაჭრა სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა ხალხის ძირეული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ქართველი ხალხისათვის ეროვნული საკითხის გადაჭრა ნიშნავს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შექმნას. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა ვერ დააკმაყოფილებს ქართველ ხალხს, ვერავითარი რევოლუცია რუსეთში ვერ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ არ განმეორდება 1921 წლის ამბები,

საქართველოში სახალხო მოძრაობა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ – განმათავისუფლებელ მოძრაობას ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## §2. სრპ და დისიდენტური მოძრაობა საქართველოში

სსრ კავშირში ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოხატულებას წარმოადგენს ე.წ. დისიდენტური მოძრაობა, რომელმაც განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო 60-იანი წლებიდან. დისიდენტური მოძრაობა ჩაისახა რუსული ინტელიგენციის წიაღში, პიროვნების კულტის პირობებში კრიტიკის დროს. არსებითად იგი წარმოადგენს რეფორმისტულ მოძრაობას. მისი მიზანია არსებული რეჟიმის პირობებში მიღწეულ იქნას კონსტიტუციური უფლებების განხორციელება. როგორც ერთადერთი ოპოზიციური ძალა, იგი უსათუოდ პროგრესული მოვლენაა დიქტატურულ სახელმწიფოში. სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ მან გარკვეული გამოხმაურება ჰპოვა ჩაგრულ ერებში. დისიდენტური ჯგუფები შეიქმნა ბალტიისპირეთში, უკრაინაში, საქართველოში, სომხეთში, თათრებში.

ამჟამად დისიდენტური მოძრაობა კრიზისს განიცდის. მიზეზი ორია:

1. მთავრობის მიერ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიებანი, რომლის შედეგად ამ მოძრაობის ლიდერთა უმეტესობა დაპატიმრებულია და გასამართლებული, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.
2. დისიდენტური მოძრაობის წარმატება ან წარუმატებლობა დამოკიდებულია რამდენიმე პიროვნებაზე, რაც გამოწვეულია სწორედ მისი არამასიურობით, რეფორმისტული სულით.

ჩვენი მიზანია ნათელვყოთ დისიდენტური მოძრაობის როლი საქართველოში და სრპ დამოკიდებულება დისიდენტური მოძრაობისადმი.

ქართველი დისიდენტების პროგრამა შეიძლება სამი პუნქტით განვსაზღვროთ:

1. ადამიანის უფლებათა დაცვა;
2. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა;
3. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვა ხელყოფისაგან.

ბუნებრივია, რომ რუსული დისიდენტური მოძრაობისაგან განსხვავებით, საქართველოში ამ მოძრაობის წინა პლანზე წამოიწია ეროვნული საკითხი. სწორედ ეს არის საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ძირითადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურება.

შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დისიდენტური მოძრაობა საქართველოში წარმოადგენდა სწორედ ეროვნული თავისუფლებისაკენ ქართველი ხალხის მისწრაფების გამოხატულებას. მან გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ქართველი საზოგადოებრიობის იმფორმირების საქმეში. მან მწვავედ დააყენა რამდენიმე საკითხი, რის შედეგადაც ხელისუფლება იძულებული გახდა დადებითად გადაეჭრა ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, მეტი ყურადღება მიექცა მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოგვარდა ქართული ეკლესიის საქმეები (უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს გაკეთდა ჯგუფის განადგურების შემდეგ და გამოცხადებულ იქნა, როგორც კომუნისტური პარტიის ზრუნვის გამოხატულება).

ცხადია, რომ დისიდენტური მოძრაობა საქართველოში წარმოადგენს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის დაბალ საფეხურს. მიუხედავად ამ მოძრაობის პროგრესულობისა, სრპ ვერ გაიზიარებს ბრძოლის მისეულ მეთოდებს, მის პროგრამას. სრპ-სა და დისიდენტურ მოძრაობას საქართველოში მხოლოდ სათავე აქვთ ერთი - ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა. სხვა მხრივ, მათ შორის საერთო არაფერია. დისიდენტობას საქართველოში პერსპექტივა არა აქვს. ვერავითარი შეთქმულება ვერ მოუტანს ქართველ ხალხს თავისუფლებას, ეს მხოლოდ მთელი ხალხის თავდადებული ბრძოლით მიიღწევა.

დისიდენტური მოძრაობა განვლილი ეტაპია საქართველოში. სრპ ვერ მოითმენს რეფორმიზმს მის რიგებში. რეფორმები ვერ გადაწყვეტენ მას, რაც ბრძოლის ველზე უნდა გადაიჭრას.

რაც შეეხება დისიდენტურ მოძრაობას საერთოდ, სრპ მხარს დაუჭერს მას მანამ, სანამ ის იქნება ოპოზიციური ძალა და მოკავშირე საერთო მტრის - ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## §3. სრპ და ეროვნული საკითხი

წინი პარაგრაფეში ნაჩვენები იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველო - ეს არის და მხოლოდ ეს შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის უსთავრესი მიზანი.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია ეყრდნობა ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა კი იმის შედეგია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ვერ გადაჭრა ეროვნული საკითხი. საქართველო კი მრავალეროვანი ქვეყანაა. მის შემადგენლობაში შედიან აფხაზები, ოსები და სხვა მცირე ეროვნებები. საქართველოში ცხოვრობენ სომხები, თათრები, რუსები, ებრაელები, უკრაინელები და სხვა ერების წარმომადგენლები. მაშასადამე სრპ პროგრამა არ იქნება სრულყოფილი, თუ იგი არ გადაჭრის ეროვნულ საკითხს, თუ არ განმარტავს ეროვნულ უმცირესობებს თავის პოზიციას მათ მიმართ.

არ შეიძლება დემოკრატიული საქართველოს არსებობა, საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინება საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხებთან თანამშრომლობის გარეშე.

თუ არ იქნა ეროვნული უმცირესობების სრული ნდობა ქართველი ერისადმი, არ იქნება დემოკრატიული საქართველო. საქართველოს რესპუბლიკური პარტია ვალდებულია მისცეს ეროვნულ უმცირესობებს სრული გარანტია თანასწორობისა, პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობისა.

---

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის შექმნა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში7 სრპ არ შექმნილა და არც შეიძლებოდა შექმნილიყო ცარიელ ადგილზე. იგი ეპოქის უდიდესი წინააღმდეგობების გამოხატულებაა, იგი შედეგია მრავალი თაობის დაუღალავი ბრძოლისა ეროვნული და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ.

ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში დგას საქართველოს რესპუბლიკური პარტია, რომელიც იბრძვის საუკუნოვანი ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, სოციალური თანასწორობისათვის, ქართველი და საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის.

გამოდის რა დემოკრატიის, პროგრესის, თავისუფლების დამცველად, სრპ გამოხატავს არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების ინტერესებსაც, ამიერკავკასიის ხალხების მისწრაფებას.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია მოუწოდებს სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის მშრომელებს აქტიური თანამშრომლობისა და ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნისათვის.

სრპ სოლიდარობას უცხადებს სსრ კავშირის ყველა ერს, რომელიც იბრძვის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

მინაწერი:

ამ საუკუნის დასაწყისში ლენინმა რუსეთის იმპერიას ევროპის ჟანდარმი უწოდა. ამგვარი სახელით დარჩა იგი ისტორიას.

როგორც ვიცით, უკანასკნელი იმპერატორი აღესრულა პეტრე-პავლეს ციხეში 1918 წელს. ევროპა უჟანდარმოდ დარჩა, მაგრამ მოვლენათა მსვლელობა რუსეთში აშკარად მიუთითებდა, რომ არა თუ ევროპას, არამედ მთელ მსოფლიოს ეზრდებოდა ახალი ჟანდარმი.

ეს ცხადი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1922-1953 წლების სისხლიანი ტერორი და კომუნისტური პარტიის დიქტატურა ფაქტიურად შემზადება იყო სსრ კავშირისა "ახალი მსოფლიო-ისტორიული მისიისათვის". სამი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანაში ითრგუნებოდა ეროვნული თავისთავადობა, საღი აზრი, ე.წ. "ხალხის მტრებთან" და კულაკობასთან ბრძოლის საბაბით დაუნდობლად ნადგურდებოდა მოსახლეობა ზუსტად იგივე მეთოდებითა და იგივე მასშტაბით, როგორც ამას ფაშისტური გერმანია აკეთებდა დაპყრობილ ქვეყნებში. მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა სისხლიანმა დიქტატურამ. უფრო მეტი, ვიდრე პირველმა მსოფლიო ომმა და სამოქალაქო ომმა ერთად. გაანადგურა რა ხალხის წინააღმდეგობა ქვეყნის შიგნით, ახალი იმპერია შეტევაზე გადავიდა საერთაშორისო სარბიელზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ძვირად დაუჯდათ იმპერიისაგან ნაბოძები "თავისუფლება". ჟანდარმი დაბრუნდა ევროპაში.

XX საუკუნე სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპოქაა. სსრ კავშირს, როგორც "პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს", მსოფლიო პროლეტარიატის "ავანგარდს" ფაქტიურად შექმნის დღიდანვე ჰქონდა ნაკისრი ამ დიდი ბრძოლების მედროშეობა (გაიხსენეთ ლოზუნგი "მსოფლიო რევოლუციის" შესახებ. დააკვირდით, ჰეგემონიზმის რა დიდი დოზა იმალება ამ ფრაზაში).

ჰეგემონიზმი შემთხვევით არ გვიხსენებია. სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშეობა თავისთავად დიდი და კეთილშობილური საქმეა. დღესდღეობით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის მეტი თანხმობა და ურთიერთგაგებაა, ვიდრე გასულ საუკუნეში

ან ამ საუკუნის დასაწყისში. მსხვილი მონოპოლიების წარმატება-წარუმატებლობა დღეს, როგორც არასდროს, დამოკიდებულია საერთაშორისო კაპიტალიზმის ძლიერებაზე. მიუხედავად რევოლუციებისა და სახელმწიფო გადატრიალებების სიხშირისა განვითარებად ქვეყნებში, რევოლუციური მოძრაობა დიდ სიძნელეებს განიცდის. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები სამხედრო და ეკონომიური ბლოკებით, განუზომელი სამხედრო ძლიერებით ყოველ ღონეს ხმარობენ მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში დესტაბილიზაციისა და ძალთა არათანაბარი, არასასურველი თანაფარდობის დამყარების წინააღმდეგ. ასეთ პირობებში რევოლუციურ ძალებს სხვა გამოსავალი არ რჩებათ, გარდა იმისა, რომ დახმარებისათვის მიმართონ "მედრო-ჭეს" - სსრ კავშირს. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ სოციალური და ეროვნული ბრძოლის მედიოშეობა დიდი და კეთილშობილური საქმეა. მაგრამ ახალ იმპერიას, სსრ კავშირს აქ აშკარად არაკეთილშობილური მიზნები ამოძრავებს. იგი არ სჯერდება მისი წყალობით განთავისუფლებას, "განთავისუფლებული" ხალხების ეკონომიურ დამონებას, იმპერია ცდილობს უმეტეს შემთხვევაში აღწევს კიდეც ამ ხალხების პოლიტიკურ დაკაბალებას. მარიონეტული მთავრობები ყველგან. ლაქიები, რომლებმაც რუსული იარაღის ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, უმკაცრეს რეჟიმს ამყარებენ საკუთარ ქვეყნებში, რათა ჩაახშონ საკუთარი ხალხების თავისუფლებისმოყვარე სული. სწორედ ამიტომ გახშირდა ასე სახელმწიფო გადატრიალებები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. საკუთარი და უცხოელი "ბელადების" მიერ მოტყუებული ხალხის უკმაყოფილებას კარგად იყენებენ უკიდურესად რეაქციული ძალები. აი, ამიტომ გახშირდა ფაშისტური დიქტატურა, ხუნტა, ტერორი. ველიკორუსული ჰეგემონიზმი მსოფლიო მასშტაბით გადაიქცა თავისუფლების მუხრუჭად. ევროპის ჟანდარმის მუნდირი ვიწრო აღმოჩნდა ახალი იმპერიისათვის. მან მორის გადაუსწრო თავის წინაპარს - ჟანდარმი მსოფლიო სარბიელზე გავიდა.

ასეთ პირობებში განსაკუთრებულს იძენს სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ხალხების ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. საყოველთაო მშვიდობისათვის, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისათვის აუცილებელია რუსეთის იმპერიის დამხობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დიდ საქმეში პირველი სიტყვა სწორედ იმპერიის ხალხებს ეკუთვნით.

ქართველ ერს ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არაერთგზის უკისრია დიდი მსოფლიო-ისტორიული მისიის შესრულება. დღეს ქართველ ხალხს შეუძლია და იგი ვალდებულიცაა დადგეს თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში. სწორედ ბრძოლით შეიძლება მიღწეულ იქნას საყოველთაო მშვიდობა და არა წაყრუებით იმის შესახებ, თუ როგორ მიაქანებენ შოვინისტები და ჰეგემონისტები მსოფლიოს ახალი ომის უფსკრულში. ჩვენ არა გვაქვს უფლება მონური ქედმოხრით ხელი შევუწყოთ ჰეგემონისტების დიდმპყრობელურ გეგმებს. ჩვენ ვერ ვიკისრებთ ველიკორუსული შოვინისტების თანამზრახველთა როლს. ქართველ ერს ერთადერთი გზა დარჩა - ბრძოლა თავისუფლებისათვის. და ამ გზაზე გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი: შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკური პარტია.

სრპ საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე დღეს დგას კონკრეტული მნიშვნელობის ამოცანა - მოამზადოს პარტიის ყრილობა, რომელზეც მიღებული იქნება სრპ პროგრამა.

საპროგრამო მიმოხილვაში განხილულია საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მიზნები და ამოცანები, თავისუფლებისათვის ბრძოლის პერსპექტივები, გამოვლენილია რევოლუციური ძალები, რომელთაც ეყრდნობა სრპ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ყოველი პატრიოსანი მოქალაქე არა თუ თანაგრძნობით მოეკიდება საპროგრამო მიმოხილვაში წარმოდგენილ საკითხებს და საერთოდ, ალმანახ "სამრეკლოს", არამედ ჩათვლის მას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მოვლენად.

სარედაქციო საბჭოს განზრახული აქვს "სამრეკლოს" ყოველ ნომერში მნიშვნელოვანი ადგილები დაუთმოს საპროგრამო საკითხების განხილვას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სრპ ყოველი წევრი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პარტიის პროგრამის შემუშავებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროგრამო მიმოხილვის გარდა ალმანახში დაიბე-
ჭდება აგრეთვე, მასალები რუბრიკით "ნაციონალური
საკითხი".

ამჟამად გთავაზობთ ამ რუბრიკით პირველ სტატიას:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი

# ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს

ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის, როგორიც რუსეთია, ნაციონალური საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ფართო მასები ჩაებნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თითქმის ყოველი პარტიის წინაშე დაისვა საკითხი ამ პრობლემის გადაწყვეტისა. ადგენდნენ ახალ-ახალ თეორიებს, პარტიის პროგრამებსა და მანიფესტებში ქვეყნდებოდა საკითხის გადაჭრის გზები და მეთოდები. ბუნებრივია, ვერც ბოლშევიკური პარტია გაექცა ეროვნულ საკითხს. მან თავის პროგრამაში შეიტანა ნაციონალური საკითხის მისეული გადაწყვეტა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკური პარტიის მიდგომა ნაციონალური საკითხისადმი ერთობ ბუნდოვანი იყო და მან იმთავითვე გაუგებრობა გამოიწვია. ბოლშევიკურმა პარტიამ განაცხადა, რომ იგი არ დაუჭერს მხარს ყოველგვარ ნაციონალურ მოძრაობას. ამასვე აცხადებს ვ.ი. ლენინი: "მაგრამ თვითგამორკვევისათვის ბრძოლის უსიტყვო აღიარება სულაც არ გვავალდებულებს ჩვენ, მხარი დავუჭიროთ ნაციონალური თვითგამორკვევის ყოველ მოთხოვნას (ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში. 1903 წ)."

სიმართლე თუ გნებავთ, ამაზე დიდი ალიბი პოლიტიკაში, საკითხის გადაწყვეტის დროს, არ არსებობს. ბოლშევიკურმა პარტიამ თვითონ იკისრა შემფასებლის და მსაჯულის როლი. ნაციონალური საკითხის ასეთი გადაწყვეტა აისახა პარტიის ყველა დოკუმენტში და, რაღა თქმა უნდა, კონსტიტუციაში. იქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ "ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება." (სსრკ კონსტიტუცია, მუხლი 72). მაგრამ როგორ და რა გზებით შეუძლია რესპუბლიკას გადაწყვიტოს დარჩეს თუ არა სსრ კავშირის შემადგენლობაში, ამაზე კონსტიტუცია დუმს! სამაგიეროდ ნათლად და არა არაზრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად აღნიშნავს: "მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს."(სსრკ კონსტიტუცია, მუხლი 39). აქედან გამომდინარე, ყოველ მოთხოვნას ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, კომუნისტური მთავრობა განიხილავს, არა როგორც სამართლიან მოთხოვნას, რომელსაც იცავს კონსტიტუციის 72-ე მუხლი, არამედ, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აქციას და გაასამართლებს კონსტიტუციის 39-ე მუხლის შესაბამისად. ამდენად, აქაც სახელმწიფო რჩება როგორც შემფასებლის, ასევე მსაჯულის როლში. სწორედ ამიტომ არ აღნიშნავს, როგორ უნდა მოხდეს მოკავშირე რესპუბლიკის გამოყოფა სსრ კავშირიდან. იმის ფიქრიც კი, რომ მთავრობა ოდესმე მისცემს შესაძლებლობას მოკავშირე რესპუბლიკას სსრკ-დან წასვლისას, მხოლოდ გულუბრყვილოთა ოცნებაა. ღლევანდელი დღე სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს - მთავრობა ცდილობს არარუსი ეროვნებები დაჭერები შეაკავშიროს ერთ ერად, მიისწრაფვის მოახდინოს ერთა ტოტალური ასიმილაცია. ამის განხორციელებას იგი ძირითადად ენის საკითხით ფიქრობს. მთავრობის ამ მოქმედებას და მის გამომწვევ მიზეზებს ჩვენ ცოტა ქვევით შევეხებით, აქ კი გვინდა დიდი ილიას სიტყვები გავიხსენოთ: "არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული - ენაა, ამიტომაც ცლანქი ხელი უმეტარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელსამე მოხელის ხელს ამ შემთხვევაში აზრი რამ ამოძრავებდა, ეგ აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, სადაც ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენ. უგუნურება ამ აზრისა ცხადია. იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების სხვადასხვაობასაც ამასვე სწამებდნენ, იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია."

ოქტომბრის რევოლუციამდე ხალხთა ფართო მასები და მთელი პროგრესული კაცობრიობა იბრძოდა ნაციონა-

ლური დამოუკიდებლობისათვის, ებრძოდნენ ცარიზმს და სიღატაკეს, იბრძოდნენ, რომ სისხლის ფასად მიეღოთ სიტყვის, პრესის, მიტინგების თავისუფლება, მიეღოთ ნაციონალური დამოუკიდებლობა, 8-საათიანი სამუშაო დღე და გაეუმჯობესებინათ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა. მილიონობით ადამიანი შეეწირა ხვლას აღთქმული ქვეყნისაკენ. მილიონობით სიცოცხლე შეაწყდა ცარიზმის დამხობას. რა გამოვიდა აქედან? რა მივიღეთ? ცარიზმის ნაცვლად ბოლშევიკური მონარქია! ჩინოვნიკების ნაცვლად - პარტიული მოხელეები! მეფის მოხელეების ნაცვლად - წითელი კარიერისტები! მღვდლების ნაცვლად -აგიტატორები, რომლებიც არანაკლებ ქადაგებენ და სამოთხეს გვპირდებიან, მაგრამ როდის, თვითონაც არ უწყიან და თვითონაც არ სწამთ! დამოუკიდებლობის ნაცლად - ეკონომიური და პოლიტიკური დაკაბალება!
არავინ უწყის, კიდევ რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს და რამდენი მსხვერპლი უნდა შეეწიროს იმ მიზნებს, რომლისთვისაც რევოლუციამდე იბრძოდნენ!
ბრძოლა კი დაიწყო! დაიწყო, რადგან ყველაზე მეტად ადამიანს ადამიანობა სჭირდება! ამ ბრძოლის გამოხატულება იყო 1978წლის 14 აპრილის გამოსვლა, დისიდენტური მოძრაობა და ამ ბრძოლის გამოხატულებაა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის შექმნა!

სკკპ მისი არსებობის მანძილზე არ შეხვედრია ისეთ ძლიერ ოპოზიციას, როგორიც დისიდენტებმა შეჰქმნეს (მართალია, 20-იან წლებში იყო ტროცკისტულ - ზინოვიევური დაჯგუფება, მაგრამ იგი არსებითად განსხვავდება დისიდენტური მოძრაობისაგან, რადგან ტროცკისტული და შინა პარტიული სხვა დაჯგუფებები ფართო მასებისათვის მიუწვდომელი იყო, ხოლო საქმე სახალხო მეურნეობის ორგანიზაციას შეეხებოდა. რაც შეეხება დისიდენტურ დაჯგუფებას, მასებთან ფართო კავშირი არც მას ჰქონია, მაგრამ იგი მთლიანად დაუპირისპირდა პარტიას!).

საზოგადოების ეს ნაწილი წარმოადგენს ინტელიგენციის ყველაზე მოწინავე რაზმს. ისინი, როგორც ხალხის ჭეშმარიტ მსახურთ შეჰფერით, წავიდნენ გაუგონარ რისკზე და ცამსხვერპლოზე მიიტანეს თავიანთი სიცოცხლე. დისიდენტურმა მოძრაობამ უარე-

სად დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე, ახალგაზრდა ინტელიგენციის პოლიტიკურ გააქტიურებაზე. (ქართველ დისიდენტებს დიდი დამსახურება მიუძღვით 14 აპრილის გამოსვლაში, თუმცა საინიციატივო ჯგუფი ამ დროისათვის უკვე აღარ არსებობდა!).

მიუხედავად ყოველივე ამისა, მათ ვერ შეძლეს მიეღწიათ ადამიანთა უფლებების დაცვისათვის, მათი ბრძოლის ძირითადი მიზანი შეუსრულებელი დარჩა და დარჩება მანამ, სანამ სახელმწიფოს სათავეში იქნება კომუნისტური პარტია. დისიდენტურმა მოძრაობამ სსრ კავშირის განაპირა მხარეებში, მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის მანტია მოირგო. შედეგი აქაც, რაღა თქმა უნდა, იგივეა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დისიდენტური მოძრაობა, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად წარმოადგენდა ცალკეული პირების მსხვერპლად შეწირვის ცდას, თგი იყო ჩაკეტილი თავის თავში და არსებითად იზოლირებული მშრომელი საზოგადოებისაგან. არც სახელმწიფოს და მთავრობას გასჭირვებია მათთან ანგარიშსწორება. დისიდენტთა უმრავლესობა დააპატიმრეს, ზოგი იძულებული შეიქმნა სსრ კავშირის ტერიტორია დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო, მავანმა და მავანმა მოინანია და ამ მოძრაობას მხოლოდ რამდენიმე კაციღა შემორჩა.

და მაინც, დისიდენტური მოძრაობა იყო პროგრესული მოვლენა რევოლუციურ მოძრაობაში(მართალია, დისიდენტური მოძრაობა დღესაცაა შეთხელებული რიგებით, მაგრამ იგი უკვე აღარ წარმოადგენს ერთადერთ ოპოზიციურ ძალას. გარდა ამისა, დღევანდელი დღის მოთხოვნები და თვით დისიდენტური მოძრაობის მიმდევართა მიმართ მთავრობის მიერ გამოყენებული ზომები გვაიძულებს, რომ დისიდენტური მოძრაობა,ე.წ. გახსნილი კარტით თამაში, შევცვალოთ არალეგალური პარტიით, რომელსაც აქვს თავისი პროგრამა და წესდება, არის მონოლითური და უნდა გაუძლოს ხელისუფალთა რეპრესიებს. რაც მთავარია, ასეთი პარტიის არსებობა თუ არარსებობა არ იქნება დამოკიდებული ერთი ან რამდენიმე პირის ჩავარდნაზე. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, ჩავთვალოთ დისიდენტური მოძრაობა განვლილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტაპად; ოღონდ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ჩვენ პრინციპულად ვეწინააღმდეგებოდეთ მას. არა, ცალკეულ პირებს ახლაც და მომავალშიც შეუძლიათ მიჰყვნენ დისიდენტების კვალს, ეს არანაკლებ სასარგებლო იქნება, მაგრამ ჩვენ ჩვენი პარტიის დევიზად დისიდენტობას ვერ გავხდით!). ისინი მოითხოვდნენ იმას, რაც აკლდა და აკლია სსრ კავშირში მცხოვრებ ხალხებს, ცდილობდნენ დაეჯერებინათ, დაერწმუნებინათ მთავრობა, რომ აუცილებელია დაიცვა ადამიანთა უფლებები, აუცილებელია დემოკრატია. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ მთავრობას უბრალოდ, არ შეეძლო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება;
2 რომ ერთპარტიული და მონარქიული სისტემა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს კომუნისტური პარტიისათვის. ამას კი თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ის ობიექტური მიზეზები, რომელთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით წარმოიშვა თვით დისიდენტური მოძრაობა და რომელიც კვლავ უბიძგებენ მშრომელ მასებს პოლიტიკური აქტივობისაკენ, ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობისაკენ.

ეს ობიექტური მიზეზები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

1. ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი;
2. მთავრობის ლტოლვა, მოახდინოს ერების ასიმილაცია.

ორივე ეს მიზეზი ხელს უწყობს რევოლუციური ძალების წარმოშობას და იწვევს ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ამასთანავე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაულახავი ზღვარი მათ შორის არ არსებობს; უფრო მეტიც, ეს ობიექტური მიზეზები ერთმანეთში მონაცვლეობენ და სხვადასხვა სიტუაციაში თვალშესახები ჩანს ხან ერთი, ხან მეორე.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს , ვთქვათ, ეკონომიკური კრიზისის წარმოჩენა ანელებდეს ერების ასიმილაციას, ან პირიქით. ისინი არსებობენ ყოველთვის ერთად, თითქოს ერთმანეთით განპირობებულნი.

## I. ეკონომიკის ადმინისტრირების კრიზისი, რეფორმები და კრიზისი — განმათავისუფლებელი მოძრაობის გამომწვევი მიზეზი

ოქტომბრის რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში — ესაა ერა სოციალიზმისა. აიღო რა ხელში ძალაუფლება, ბოლშევიკური პარტია შეუდგა თავისი პროგრამის ძირითადი ნაწილის — ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის განხორციელებას. გამოცხადდა ფაბრიკა-ქარხნების, ბანკების, მიწის ნაციონალიზაცია. ისინი გადაეცათ მუშებსა და გლეხებს. ხორცს ისხამდა მარქსიზმი — იგი თითქმის რეალობად ქცეულიყო. ბოლშევიკებმა ასეთივე გადამჭრელი ზომები მიიღეს ადამიანთა მომსახურებისა და ყოფაცხოვრების სხვა სფეროებშიც. თითქოს ყველაფერი ისე ხორციელდებოდა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ ყველას მოეხსენება, რომ ცხოვრება თეორიებსა და ლოზუნგებს არ მიჰყვება, იგი თავისი გზით და კანონებით მოქმედებს და არას დაგიდევთ თვით ყველაზე კეთილშობილურ განზრახვასაც კი, თუ იგი მისი კანონზომიერი განვითარებიდან არ გამომდინარეობს. რევოლუციური რუსეთი სრულიადაც არ იყო მზად ამგვარი გარდაქმნებისათვის! ნაადრევმა გაზაფხულმა საერთო კლიმატი ვერ შეცვალა და აღრეულად გამოსული ყლორტი სიკეთისა მთლიანად განადგურებას შეგუების იმუნიტეტით გადაურჩა, დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და შინაარსი. ცხოვრება თავის გზას გაუყვა და სოციალისტური ქვეყნის ნაცვლად მივიღეთ სახელმწიფო-კაპიტალიზმი. ეს ახალი ტიპია კაპიტალისტური წყობისა, რომლის მიზანია, როგორმე დაინარჩუნოს თავისი თავი. წარმოების საშუალებანი მთლიანად სახელმწიფოს ხელშია, ასევე სახელმწიფო განაგებს სოფლის მეურნეობას. ამრიგად, სახალხო მეურნეობას მთლიანად განაგებს სახელმწიფო და მის მაგივრად ახორციელებს პარტიული მოხელეების საშუალებით.

ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როდესაც წარმოების განვითარება ვეებერთელა ნაბიჯებით მიიწევს წინ, როდესაც ყოველდღიურად, ფანტასტიური სიჩქარით იქმნება ახალი დარგები, პარტიული ერთმმართველობის პრინციპი არა თუ შეუთავსებელი, არამედ რეაქციულია.

იგი ხელს უშლის სახალხო მეურნეობის წინსვლას, მის განვითარებას. თუ ამას დავუმატებთ, რომ ქვეყნის შიგნით ფაქტიურად არაა კონკურენცია (სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ ფორმალიზმია; ხოლო ხარისხის ხუთწლედად გამოცხადებულ მეათე ხუთწლედს ფაქტიურად არაფერი შეუცვლია), მაშინ ადვილი შესამჩნევია სამამულო პროდუქციის უხარისხობის მიზეზი. აქედან გამომდინარე, სამამულო პროდუქცია ჩაწოლილია სახელ-მწიფო ბაზრებზე. პროდუქციის უხარისხობაზე მოქმე-დებს , აგრეთვე, გეგმაზომიერი განვითარება და სა-ხელმწიფოს უსუსურობა, პროდუქცია დროულად მიეწოდოს ბაზარს. საბოლოო ჯამში ეს იწვევს ეკონომიკის კრი-ზისს. კრიზისული მდგომარეობა ძირითადად თავს იჩენს მოხმარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარ-მოების საქმეში, რადგან, აქ ყველაფერი თვალსაჩინოა, რომ იტყვიან, ყველაფერი ხელისგულზეა. სოფლის მეურნე-ობის კრიზისული მდგომარეობა ნათლად ეტყობა ჩვენს ბაზრებსა და სასურსათო მაღაზიებს. მრეწველობის პრო-დუქციის უხარისხობაზე მეტყველებს ხალხის მასების სწრაფვა, შეიძინონ იმპორტული საქონელი, რაც მშვენიერ პირობებს ქმნის სპეკულაციისათვის და იქმნება ე.წ. "შავი ბაზარი". მოსახლეობა იძულებულია, აქ შეიძინოს მისთვის საჭირო იმპორტული ნაწარმი; ხელისუფლება თვალს ხუჭავს, რადგან უძლურია, ბრძოლა გაუმართოს იმას, რასაც თვითონაც სიამოვნებით იყენებს. ქვეყნის ეკონომი-კა ფაქტიურად გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეული. თუ რამ მიიყვანა იგი ამ ზომამდე, ამას ჩვენ სხვა დროს და-წვრილებით განვიხილავთ. ახლა კი ყოველივე ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ გვეჩვენებინა ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური კრიზისი, რადგან მას პირდაპირი კავშირი აქვს ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ქვეყნის კრიზისული ეკონომიკა, გაზრდილი სამხედრო ხარჯები და სხვა მთავრობას აიძულებს რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს მოკავშირე რესპუბლიკებს. ამას იგი იმი-ტომაც მიმართავს, რომ როგორმე დაიცვას ეკონომიკური წონასწორობა სოციალური უზრუნველყოფის საქმეში, რომ რომელიმე რესპუბლიკის ეკონომიკურმა დონემ დიდად არ გაუსწროს სხვებისას. სახელმწიფო ხელისუფალნი აქტი-ურად ერევიან მოსახლეობის პირად და საზოგადოებრივ საქმეში. საბჭოთა კავშირში გლეხობას იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ დამხმარე მეურნეობაზე მოწეული პროდუქცია ბაზარზე გაყიდოს; ხელოსანს უფლება არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს სახლში აწარმოოს მეკვეთების მიღება და მრავალი სხვა. ასეთი ჩარევებით მთავრობას სურს ეკონომიკური სტაბილიზების შენარჩუნება. ამას იგი ახერხებდა კიდეც, მაგრამ ცხოვრების დღევანდელმა მიმდინარეობამ საქმოსანთა ისეთი ფართო არშიები შექმნა, რომ მთავრობა იძულებულია თვალი დახუჭოს, ან დასჯერდეს ცალკეული პირების დროებით რეპრესირებას. საქართველოში ამ სახის რეპრესიებმა მხოლოდ ის გამოიწვიეს, რომ კაპიტალის გარკვეული მარაგი გადავიდა ერთი მფლობელიდან მეორის ხელში, ხელისუფლება კი ვითომ "განიწმინდა"ყოველგვარი "ბიწიერებისაგან!" ფაქტურად კი არაფერი არ შეცვლილა, მდგომარეობა ისევ და კიდევ უფრო საგანგაშოა. ყოველივე ეს იწვევს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის გაძლიერებას და ზურგზე აწვება მშრომელ მასებს. სახელმწიფო თვითონ გამოდის"სპეკულიანტის" როლში. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებისეული სინამდვილე: საქართველო ოდითგანვე იყო ცნობილი მეღვინეობით. ასეა ახლაც. სახელმწიფო, ისევე, როგორც სხვა დარგებში, აქაც გვევლინება როგორც მყიდველ, ასევე მწარმოებელ კაპიტალისტად. იგი სოფლის მეურნეობის პროდუქციას (ამ შემთხვევაში ყურძენს) ყიდულობს საშუალოდ კილოგრამს 50 კაპიკად; ხოლო მისგან წარმოებულ პროდუქციას იმავე ბაზარზე ჰყიდის საშუალოდ1,50 მანეთად. ეს იმდენად დიდი ზღვარია,რომ ბრმაც კი იგრძნობს და დაინახავს.ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, იქნება ეს მარცვლეული თუ ციტრუსოვანი კულტურები; ასევეა საქმე მრეწველობის პროდუქციის წარმოების საქმეშიც. ქართველი საზოგადოება მიეჩვია იმ არც თუ ისე ცრუ აზრს, რომ საქართველოს ეროვნული შემოსავალი სადღაც იკარგება და ხალხს არ უბრუნდება. ასეთივე მდგომარეობაა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც და თვით რუსეთშიაც. ყველგან ფიქრობენ, რომ მათი ეროვნული შემოსავალი "სადღაც იკარგება" და მას ვიღაც ინაწილებს, ხოლო თვით მწარმოებელი ღებულობს იმდენს, რომ ძლივს ჰყოფნის ფიზიკური არსებობისათვის. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საშუალო ხელფასი სსრ კავშირში არ აღემატება 150 მანეთს (საქართველოში - 135,5 მან.).

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად უფრო და უფრო ღრმავდება კონფლიქტი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ძირითადად კი იგი მიმართულია

რუსეთის მიმართ. ამ კონფლიქტის ხელშემწყობია მთავრობის ყბადაღებული დახმარება ჩამორჩენილი შუა აზიის რესპუბლიკებისადმი, რომლებიც ფაქტიურად ისთივე დღეში არიან, როგორც საქართველო, სომხეთი, უკრაინა, თვით რუსეთი და სხვა. ამგვარი განცხადებებით მთავრობა ფარავს სახალხო მეურნეობის სისუსტეს, ეკონომიური კრიზისს და თავისდაუნებურად აღრმავებს და აღვივებს კონფლიქტს ერებს შორის.

ა მ რ ი გ ა დ , შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა  დ ა - ვ ა ს კ ვ ნ ა თ , რ ო მ  ე რ ე ბ ს  შ ო რ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ - გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე - ლ ი  მ ო ძ რ ა ო ბ ი ს  გ ა მ ო მ წ ვ ე ვ ი ე რ თ - ე რ თ ი  ძ ი რ ი თ ა დ ი  მ ი ზ ე ზ ი ა რ ი ს  ქ ვ ე ყ ნ ი ს  ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი კ რ ი ზ ი ს ი .

## II. მთავრობის სწრაფვა მოახდინოს ერების ასიმილაცია, ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის გამომწვევი მიზეზია

ჩვენ განვიხილეთ ქვეყნის ეკონომიური კრიზისი და აღვნიშნეთ, რომ იგი არის ერთერთი ძირითადი მიზეზი ქვეყანაში დაწყებული დემოკრატიული და კერძოდ - ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობისა. აღვნიშნეთ ისიც, რომ ერების ასიმილაციასა და ეკონომიურ კრიზისს შორის გადაულახავი ზღვარი ამ თვალსაზრისით არ არსებობს. ისინი ერთნაირად უწყობენ ხელს ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას. თანამედროვე ეტაპზე, რომც არ ყოფილიყო ეკონომიური კრიზისი, სსრკ-ში შემავალი ერები მაინც ვერ შეურიგდებოდნენ მთავრობის სწრაფვას, მოახდინოს ერების ასიმილაცია. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ პირველი დიდი გამოსვლა საქართველოში (მხედველობაში გვაქვს 1978 წლის 14 აპრილი) მიმართულ იყო არა ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ არამედ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ. ეს იყო ახალი თაობის პირველი დიდი პროტესტი მთავრობის მიმართ, რადგან ახალ კონსტიტუციაში აშკარად ჩანდა მთავრობის დამოკიდებულება მოკავშირე რესპუბლიკების და ცალკეული ერებისადმი.

1978 წლის 14 აპრილი - ეს არის უმნიშვნელოვანესი თარიღი საქართველოს შინაური ცხოვრებისა: დღე, როდესაც ხელის ერთი დაკვრით გამოფხიზლდა თითქმის მიძინებული ეროვნული გრძნობა. დღე, ქართველი ახალგაზრდობის

ჯუჟღაიოტი ლიბიდებისა; დღე, როდესაც ქართველმა ხალხმა საბრძოლო ნათლობა და ახალი კონსტიტუცია ერთად მიიღო. დღე, რომელმაც იმედდაკარგულთ იმედი ჩაუსახა, მებრძოლთ - მხნეობა შეჰმატა, ერის მოჭირნახულეთ სიხარული მოუტანა და მთავრობას დაანახა, რომ მოდის თაობა, რომელიც ყველაფერზე თავს არ დაუქნევს და წყენას გულში არ ჩაიკლავს. თაობა, რომელიც პროტესტს აშკარად გამოხატავს და არა დუმილით. მტერმა და მოყვარემ დაინახა, როგორ გაიმარჯვა ხალხმა და როგორ დამარცხდა მთავრობა; მტერმა და მოყვარემ იგრძნო, თუ ხალხი აღდგება, მას პირში ტყვიას ვერ ჩაასხამენ. მტერი და მოყვარე დარწმუნდა, რომ ის შავი დღეები, როცა ასეთ გამოსვლებს ტყვიით ახშობდნენ, ისტორიას ჩაბარდა, რომ ახლა აღარაა 1956 წელი.

ეს დღე იყო სრული მარცხი მთავრობის ყბადაღებული "ლენინური ეროვნული პოლიტიკისა". დღე, რომელმაც თვალნათლივ წარმოაჩინა მოწინააღმდეგეთა (მთავრობისა და ხალხის ) მისწრაფებანი და შესაძლებლობანი. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთავრობას უკან წაეღოს თავისი სიტყვა, თუნდაც ამას მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამის მაგალითად იგივე 1956 წლის მარტის ამბები გამოგვადგება, როცა კომუნისტურმა პარტიამ მთლიანად გამოავლინა თავისი თავი და ქართველ ხალხს კვლავ შეახსენა პირსისხლიანი შაჰ-აბასები და თემურ-ლენგები. თბილისის ქუჩები ქართველთა სისხლით მოირწყო, ისევ იგლოვა საქართველომ. თუ რა მოუტანა ამ გამოსვლამ ქართველ ხალხს, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა მას, ამ საკითხს უფრო დეტალურად სხვა დროს შევეხებით, ახლა კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხალხი დაიხოცა, მთავრობამ კი სიტყვა უკან არ წაიღო. ახლა კი რა ხდება? ქუჩები ხალხით გაივსო, მთავრობამ კი სროლა ვერ გაბედა! ხალხმა მოითხოვა, მთავრობამ კი შეასრულა!

იქნებ ვინმემ თქვას, კომპარტიის ლიდერები დაბერდნენ და სიბერემ გულჩვილობა იცისო. შესაძლებელია, მაგრამ იმ ქართველთათვის ავადმოსაგონარ დღეს არც ერთ მათგანს გულშიაც არ გაუვლია სიბრალული, თუმცა მაშინაც მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ ლ.ი. ბრეჟნევი და მ.ა. სუსლოვი, ხოლო ა.პ.კირილენკო, ა.ნ.კოსიგინი კ.ტ.მაზუროვი ცა წევრები იყვნენ.

ნათქვამია, "სხვისი ჭირი - ღობის ჩხირიო". რა თავ-ში იხლიდნენ, ვიღაც "სტუდენტების" გამოსვლას, თუ სკამ-სა და თანამდებობას დაჰკარგავდნენ. ჰოდა, არც თავი შეუწუხებიათ! ამ ხიმერის ჟამსაც სიამოვნებით მია-ხვრეტდნენ ხალხს, მაგრამ... მაგრამ დროება შეიცვა-ლა, დღეს ხალხის დახვრეტა ცოტა თუ ბევრ გართულებას გამოიწვევდა, არც ის იყო გამორიცხული, რომ დახვრე-ტებს სამოქალაქო ომი მოჰყოლოდა. ამიტომ დათმეს, ამიტომ შეურიგდნენ მათთვის უცნობ და სახამუშო სი-ტუაციას. სხვა დრო დადგა და რას იზამდნენ?!

იმავე დღეებში სწრაფად გავრცელდა ჭორი: ერთნი ამტკიცებდნენ, შევარდნაძე პირადად ჩაფრინდა მოსკოვ-ში და ბრეჟნევი დაარწმუნა, რომ ქართველები ენას არ დათმობენ და შეტაკება იქნებაო; ხოლო ბრეჟნევმა თურ-მე უფლება მისცა, საქართველოს კონსტიტუციაში (ბედის დაცინვა თუ გნებავთ, ესაა) 75-ე მუხლის შეცვლისა. მეორენი კი ამ "სიკეთეს" ინაურს მიაწერდნენ, არა ინაური ჩაფრინდა მოსკოვში, პანამარიოვს მოახსენა, თუ 75-ე მუხლს არ შეცვლით, თბილისში გამოსვლები იქნე-ბა და მე ვერაფერს გავხდებიო. პანამარიოვმა კი ბრეჟ-ნევი დაარწმუნაო. ორივე მხარე ერთსულოვნად აცხადებს: ბრეჟნევმა თქვა, გააკეთეთ ისე, როგორც ხალხს უნდაო. თან დასძენდნენ, ამ საქმეში სუსლოვის ხელი ურევიაო! ქართველები არ უყვარსო!

თუ დააკვირდებით, ადვილი მისახვედრია, ორივე ეს ვერსია ზევიდანაა წამოსული, იგი გავრცელებულია თვით ხელისუფალთა დიდი მზრუნველობის შედეგად. პრეზიდიუმის თავმჯდომარე და პარტიის გენერალური მდივანი არ შეი-ძლება შეცდეს; ყოველ შემთხვევაში მაშინ, სანამ იგი ამ პოსტზე იმყოფება! გადადგომის შემდეგკი, პარტიას არ მოერიდება დაშვებული შეცდომების აღიარება და გაკრიტიკება (თვალსაჩინოებისათვის მარტო სტალინის მაგალითი გვეყოფა), რადგან ჩვენში, როგორც კონსტიტუ-ცია ამბობს, "კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია. კრიტიკი-სადმი მდევნელი პირნი პასუხისგებაში მიიცემიან" ( სსრკ კონსტიტუცია, მუხლი 49). არადა, ვიღაც შეცდა, ხომ ვერ იტყვიან, ბოდიშით ბატონო, ჩვენ გვეგონა ხმას არ ამოიღებდითო! ჰოდა, თურმე ნუ იტყვით, ყველაფერში დამნაშავე სუსლოვი ყოფილა, რაც მთავარია, "თურმე ქართველები სძულს საშინლად". კარგით, ბატონო, ქართვე-ლები სძულს და ამიტომ გვიპირებდა ენის წართმევას. სომხებმა, უკრაინელებმა და სხვებმა რა დააშავეს?

იქნებ, არც ისინი მოსწონს სუსლოვს? ასეთ სისულელეს
ბავშვი თუ დაიჯერებს ან ის ადამიანი, ვინც საქმე-
ში ჩაუხედავად მსჯელობს და ფაქტების განსჯას სხვათა
ნათქვამის გამეორება ურჩევნია.
ტორის შემდგენლებს კიდევ რამდენიმე არახელსაყრელი
მომენტი გაპარვიათ. ჯერ ერთი, ორივე ვერსიიდან ნათლად
ჩანს, რომ ხალხის გამოსვლისა მათ აშკარად ეშინიათ.
ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დემონსტრაცია არ შედგეს
და მეორეც, ორივე ვერსია მოსკოვისაკენ მიემართება.
თვით მთავრობის წარმომადგენლებიც ვერ მალავენ იმას,
რომ საქართველოს ხელისუფალთ არაფრის გადაწყვეტა არ
შეუძლიათ; არადა, "მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვე-
რენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო" (სსრკ კონ-
სტიტუცია, მუხლი 76). "საქართველოს საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოცი-
ალისტური სახელმწიფო" (საქართველოს სსრ კონსტიტუცია,
მუხლი 68). აჰა, ორი კონსტიტუცია გვიმტკიცებს საქართვე-
ლო დამოუკიდებელი სახელმწიფო არისო, უფრო მეტიც, სა-
ქართველოს სსრ კონსტიტუციის 72-ე მუხლში ნათქვამია:
საქართველოს სსრ განმგებლობას, მისი სახელმწიფო ხე-
ლისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების
სახით ექვემდებარება: 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის
მიღება და მასში ცვლილებათა შეტანა". მიუხედავად ამისა,
ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მაინც რუსეთში გან-
ზის და მუხლმოდრეკილი ელოდება ხელისუფალთ: გვიშველეთ,
თქვენი ჭირიმე, ჩვენს კონსტიტუციაში მუხლის შეცვლა
გვინდა და ეს გაგვი[illegible]. ამაზე მეტი დაცემულობა
რა უნდა იყოს: ერის ჰქონდეს სახელმწიფო, იყოს დამოუკი-
დებელი და სხვას ეხვეწებოდეს კონსტიტუციაში რაიმეს
შეცვლას? მართლაც, რაღაც აბსურდია, ისეთი აბსურდი,
რაც ვერავითარ ლოგიკას ვერ დაექვემდებარება.
საშინელებაა, ერს ჰქონდეს ენა, რომელმაც ათასწლე-
ულებს გაუძლო, ჰქონდეს დამოუკიდებლობა და თავის კონ-
სტიტუციაში მისი სახელმწიფოებრიობა არ დააკანონოს!
თუმცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ეს არ ადარდებს

(თუმცა, ახლახან მიიღეს დადგენილება ქართული ენის
გაძლიერებული სწავლების შესახებ, მაგრამ იგი სრული
ფიქციაა. სახელმწიფო, რომელიც მის მიერ მიღებულ კონ-
სტიტუციას არად აგდებს, ვერ მოთხოვ რაღაც დადგენილების
შესრულებას. აქვე უნდა იქნას აღნიშნული, რომ დადგენი-
ლება იქნა მიღებული მას შემდეგ, რაც განათლების სამი-
ნისტრომ უმაღლეს სასწავლებლებში დააგზავნა პროექტი
რუსული ენის გაძლიერებული სწავლებისა. ინტელიგენცია

უარყოფითად შეხვდა ამ მოვლენას, რადგან რუსული ენის სწავლების გაძლიერება უნდა მომხდარიყო ქარ- თულის შევიწროების ხარჯზე. ამ ფაქტს კი აუცილებლად მოჰყვებოდა ახალი დემონსტრაცია და პოლიტიკური გარ- თულებანი; ამიტომ სასწრაფოდ იქნა მიღებული სრულიად საწინააღმდეგო დადგენილება. ამის შესახებ ილაპარაკა უნივერსიტეტში იმავ დღეებში ე.ა.შევარდნაძემ და მი- სი სიტყვა უკვე ცნობილია მშობელი ხალხის და ენის ბე- დით დაინტერესებული მკითხველებისათვის. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მსგავსი დადგენილებებით მთავრობა ცდილობს ოპოზიციურად განწყობილ ძალებში დეზორგანიზაცია შეიტანოს და რომ ასეთი გამოსვლები სულაც არაა სუქართველოს ხელისუფალთა შორის ეროვნული გრძნობის უეცარი გამოღვიძების შედეგი). ისინი მაინც რუსულ ენაზე უნდა გამოვიდნენ, იქნებ როგორმე უფრო- სობასასიამოვნონ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, გამო- დის, რომ მთავრობის წარმომადგენლები თვითონ არ სცე- მენ პატივს მიღებულ კონსტიტუციას, თუ არა, სად გაგო- ნილა, გქონდეს საკუთარი სახელმწიფო ენა და საკუთარ ხალხში, საკუთარ ქვეყანაში სხვა ენაზე ილაპარიკო! თუმცა არა, ჩვენ სულ გადაგვავიწყდა, რომ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება ხალხმა მოითხოვა და არა მთავრობამ. მთავრობა თითქმის ყოველი გამოსვლით საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს, თითქოს გვეუბნება: გქონდეთ, ბატონო, თქვენ სახელმწიფო ენად ქართული, ჩვენ მაინც რუსულ ენაზე გვირჩევნია გამოსვლა და ლაპარაკი, თქვენ კი ხშირხშირად მოიძებნეთ 75-ე მუხლი და გადაიკითხეთ, თორემ ჩვენს შემხედვარეს შეიძლება გადაგავიწყდეთო. ეს კი სრული ჭეშმარიტებაა და რა გვეთქმის?!

ჩვენ ასე დაწვრილებით იმიტომ მოვიყვანეთ აპრილის გამოსვლის ამბები და მასთან დაკავშირებული ფორები, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა მთავრობის დამოკიდე- ბულება მომხდარ ფაქტთან. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ?!

1. მთავრობა აშკარა კომპრომისზე წავიდა არა თავისი ნებით, არამედ იძულებით.

2. მთავრობა დაიბნა, მაგრამ შეეცადა თვითონ გამოსულიყო გამარჯვებულის როლში. მან შეეცადა 75-ე მუხლი, მაგრამ ისეთი პოზა დაიჭირა, თითქოს დიდი მოწყალება გაეღოს.

3. ხმების და ჭორების საშუალებით შეეცადა საქმიან

საქმეებში გაიცდილი თაიცხი ერთი პიროვნებისათვის
გადაებრალებინა, პარტია კი უმწიკვლოდ გამოსულიყო
(ამის გამოცდილება კომუნისტებს საკმაოდ მოეპოვე-
ბათ). სიმართლე რომ ვთქვათ, ნაწილობრივ მიაღწია კი-
დეც თავის მიზანს.

4. ხალხთა მასები დარწმუნდნენ თავის ძალებში.
პირველი "რაუნდის" მოგება მათ დაეხმარებათ იმ
დიდ ბრძოლაში, რომელიც აუცილებელია საქართველოს
დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და რომელიც ეს-ესაა
დაიწყო.

## " ენა ქართული – ღვთისმშობლის ენა "

"ყოველი საიდუმლო ამა ენასა
შინა დამარხულ არს!"
იოანე ზოსიმე საბაწმინდელ-
სინელი

XX საუკუნემ, მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლამ
ფაქტიურად მოშალა სარწმუნოებრივი ბარიერი ცივილი-
ზებულ ერებს შორის. ხალხის ფართო მასები დაემორ-
ჩილნენ ათეისტურ პროპაგანდას, ხოლო მათ, ვისაც
რელიგიური რწმენა შემორჩათ, ფაქტიურად აღარაფრის
შეცვლა არ შეუძლიათ. გარდა ამისა, დღეს იშვიათად
მოიძებნება მორწმუნე, რომელსაც ქრისტე, ალაჰი,
ბუდჰა ან იეღოვა სწამდეს. ეს უბრალოდ მორწმუნეა,
აღიარებს რა ზებუნებრივ ძალას, სახელდობრ რო-
მელს, მისთვის თითქმის სულერთია. აქ თავს იჩენს მხოლოდ
მემკვიდრეობით მიღებული რელიგია. მოკლედ რომ ვთქვათ,
ჯვაროსნული ომების ხანა ისტორიას ჩაბარდა.

საუკუნეთა მანძილზე, შავბედობის ჟამს, როდესაც
საქართველო პირისპირ შერჩენოდა მუსლიმანურ ურჩხუ-
ლებს, რელიგიური ბარიერი ერთ-ერთ ძირითად საყრდენს
წარმოადგენდა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუ-
ნებლად. ქართველი ხალხი იბრძოდა ქრისტეს სახელით
და იცლებოდა სისხლისაგან, მაგრამ რწმენა შეურყე-
ველი იყო, რწმენა, რომელიც აგრერიგად განასხვა-
ვებდა ქართველებს სხვებისაგან. დღესდღეობით, როდე-
საც რწმენის ეს ბარიერი დანგრეულია, ქართველი ხალხი
თავისი კულტურითა და ენით ინარჩუნებს თავის ეროვნულ

თვითმყოფადობას. ეს ორი ხაზება შერჩენია ე[illegible]
რუსულ იმპერიაში. ყოველი ქართველი შეგნებულად თუ ქვეცნობიერად გრძნობს, მათ დაკარგვასთან ქართველი ერის გადაშენება და გარუსება მოჰყვება. ისეთი მცირერიცხოვანი ხალხისათვის, როგორიც ქართველებია, განცხრომა ბუნებას არ დაუბედებია. ერის ოდნავი მიძინებაც კი მის თვითმკვლელობას უდრის. ასე იყო ძველ
ასეა ახლაც, არაფერი შეცვლილა.

აი, რას ვკარგავდით, აი, რაშ შეჰკრა ერთ მუშტად ეს და-
დაცალკევებული ერი. ფაქტიურად, ყოველგვარი ორგანიზაციის გარეშე, ისე, რომ არც კი დაფიქსირებულა, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე გაიარა ყოველმა დემონსტრანტმა.

ვის და რატომ მოეხასიათა ენა წაერთმია ქართველებისათვის? არის ეს რომელიმე პიროვნების შეცდომა, თუ პოლიტიკის რაიმე კურსი? რას წარმოადგენს ენა საზოგადოდ და კერძოდ ჩვენთვის? ეს საკითხები აუცილებელ პასუხს ითხოვენ. "ენა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისათვის" (ლენინი); "ენა განვითარების და ბრძოლის იარაღია. ერის ერთიანობა, როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი"(სტალინი); "ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ"( ი ლ ი ა ). ციტირების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ერისა და პოლიტიკური მრწამსის ადამიანებიც კი ერთსულოვანნი არიან ამ საკითხში. ისიც შეიძლებოდა, არც ერთ ციტატას არ შევხებოდით, არც ერთი ავტორიტეტი არ მოგვეშველიებინა, რადგან ყოველი ადამიანისათვის, განვითარებისა და ინტელექტის რა დონეზეც უნდა იდგეს, რომ ენა უმთავრესი და უძირითადესი საშუალებაა მისი არსებობისა, რომ სწორედ ენის წყალობითაა იგი ადამიანი და სწორედ ენა განსაზღვრავს მის პირადულ თუ მოქალაქეობრივმეს. ასე იყო წარსულში, ასე იქნება მომავალშიც.

ლეონტი მროველი, რომელიც ფარნაოზის მეფობის ხანას ეხება, სიამაყით აცხადებს: "და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა" ამავე პერიოდის განხილვისას, ვახტანგ ჭელიძე "ქართლის ცხოვრების ქრონიკებში"წერს:"ხოლო ის ფაქტი,

რომ მან (ფარნავაზმა – ვ.რ.) საქართველოს მთელ ტერი-
ტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული დააკანონა, უდიდე-
სი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტი
და ჭკვიანი მმართველის შორს გამიზნული ნაბიჯია. ამით მა
საფუძველი ჩაუყარა ქართველი ტომების გაერთიანებისა
და შემჭიდროების საქმეს. ეს არის ფარნავაზის მოღვა-
წეობის ამოსავალი წერტილი, მისი მეფობის მთავარი არსი.
ფარნავაზმა რომ ქართველი ტომების გაერთიანება და-
ისახა მიზნად და ამ მხრივ ბევრიც გააკეთა, ეს უდიდეს
დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მან რომ ასეთი
ერთობის ქვაკუთხედად ენა დასახა, ეს უკვე მისი დიდი
სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის უტყუარი ნიშანია".
ცამდე მართალი ბრძანდება ბატონი ვ.ჭელიძე. სახელ-
მწიფოს ერთიანობის ღუღაბი ნამდვილად ენაა. სწორედ
აქეთკენ მიილტვიან საბჭოთა სახელმწიფოს დღევანდელი
ლიდერები. მათი ფარული ზრახვები ესაა, ოღონდ მათ და-
ავიწყდათ, რომ სსრკ ტერიტორიაზე სულაც არ მოსახლეობე
მონათესავე ტომები. პირიქით, სსრკ შემადგენლობაში
შემავალი ერები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდე-
ბიან ენით, კულტურით, ცხოვრების წესით, ისტორიით.
ისინი კარგად გრძნობენ, რომ ქვეყნის ეკონომიური გან-
ვითარება ჩიხში მოექცა (საბჭოთა ეკონომიკას შეუძლია
დააკმაყოფილოს მოსახლეობის მინიმალური მოთხოვნების
მინიმალური ნაწილი). ამდენად იგი ვერ გამოდგება ერ-
თიანობის შემაკავშირებელ რგოლად. არადა, ლენინი შაუ-
მიანისადმი მიწერილ ბარათში ხაზგასმით აღნიშნავს:
"თქვენ რუსეთში სახელმწიფო ენის მომხრე ხართ. "ის
აუცილებელია, მას ჰქონდა და ექნება პროგრესული მნი"
შვნელობა". გადაჭრით არ გეთანხმებით. მე ამის შესა-
ხებ ვწერდი ადრე "პრავდაში" და აქამდე არავის უარუ-
ყვია. თქვენი საბუთები მე სრულებით ვერ მაჯერებენ –
პირიქით. რუსულ ენას რომ პროგრესული მნიშვნელობა
ჰქონდა მრავალ საწყალ და ჩამორჩენილ ნაციებისათვის,
– ეს უდავოა. მაგრამ ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, მას
უფრო მეტი პროგრესული მნიშვნელობა ექნებოდა, რომ
ის იძულება არ იყოს?
როგორ, განა სახელმწიფო ენა არ ნიშნავს ჯოხს, ჩა-
მომშორებლებს რუსული ენიდან? რატომ არ გინდათ გაიგოთ
ის ფსიქოლოგია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვა-
ნია ნაციონალურ საკითხში და რომელიც ოდნავ ძალდატა-
ნებითაც სვრის, დაჰყავს არარაობამდე უდაოდ პროგრე-
სული მნიშვნელობა ცენტრალიზმისა, დიდი სახელმწიფოებ-

სა და მთლიანი ენის? მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკა, ვინემ ფსიქოლოგია: რუსეთში [illegible] არის კაპიტალისტური ეკონომიკა, რომელიც რუსულ ენას აუცილებლობად აქცევს. და თქვენ არ გჯერათ ეკონომიკის ძალა და გსურთ პოლიტიკური ნაძირალების ყავარჯენით გაამაგროთ ეკონომიკა? ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ თქვენ ამახინჯებთ ეკონომიკას, ამუხრუჭებთ მას?"

საბჭოთა კავშირში ეკონომიკა ისედაც დამუხრუჭებულია ამდენად, მას უკვე ნამდვილად სჭირდება პოლიტიკური ნაძირალების ყავარჯენი. თუმცა უნდა ითქვას, რომ მან ფეხი იცვალა. ფერისცვალება იმაში მდგომარეობს, რომ მან სახელმწიფო ენად რუსული კი არ გამოაცხადა, არამედ უენობა დააკანონა, რაც ფაქტიურად იგივეს ნიშნავს. მთავრობა შეეცადა მოესპო ის უკანასკნელი ბარიერი, რომელიც ხაზგასმით ანსხვავებს სხვა ერებს რუსი ერისაგან, და სსრკ ტერიტორიაზე მიეღო ერთიანი ერი რუსული ენით. შეიძლება ეს ვინმემ ცილისწამებად მონათლოს და პროვოკატორობა დაგვაბრალოს, ამიტომ უმჯობესია, ვნახოთ, რას ამბობს ლ.ი.ბრეჟნევი თავის მოხსენებაში 1977 წლის 24 მაისს, რომელიც მიეძღვნა სსრკ კონსტიტუციის პროექტს: "შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი". ვფიქრობთ, ყოველივე ნათელია და ჩვენ მივაგენით ჭეშმარიტების სათავეს. ამ ფრაზის წაკითხვის შემდეგ ძნელი აღარაა იმის მიხვედრა, თუ საიდან გვჭირს უბედურება. თავის ამ მოსაზრებას ბრეჟნევი იმეორებს რუსული ენის გაძლიერებისათვის მიძღვნილი ფორუმის მონაწილეებისადმი გაგზავნილ მისასალმებელ ბარათში(დაიბეჭდა გაზ. "კომუნისტში", 1979 წლის 24 მაისის ნომერში). აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: საბჭოთა კავშირის კომპარტიის და მისი პოლიტბიუროს საშინაო პოლიტიკა მიმართულია რუსული ენის გასახელმწიფოებრიობისაკენ. არის კი ქვეყანაში პირობები ამ აქციის განხორციელებისათვის მზად? არიან კი ერები ისე ახლოს ერთმანეთთან, რომ რუსული ენის დაკანონება ბუნებრივი განვითარების შედეგად მივიჩნიოთ? დაბოლოს, შესაძლებელია თუ არა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ყოველივე ამის განხორციელება?

ეყრდნობა რა ლენინს, სტალინი "ლენინიზმის საკითხებში" წერს:

"ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის არსებობა მდგომარეობს მისწრაფებაში, გვერდი აუხვიონ ენის,

კულტურის, ყოფაცხოვრების ნაციონალურ სხვადასხვაობას; მისწრაფებაში, მოამზადონ ნაციონალური ოლქებისა და რესპუბლიკების ლიკვიდაცია; მისწრაფებაში, ძირი გამოუთხარონ ნაციონალური თანასწორობის პრინციპსდა სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას აპარატის ნაციონალიზაციის, პრესის, სკოლის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმეში. ეჭვსგარეშეა, რომ ეს გადახრა ნაციონალურ საკითხში, რომელიც თან ინტერნაციონალიზმისა და ლენინის სახელს იფარებს, არსებითად წარმოადგენს ველიკორუსული ნაციონალიზმის ყველაზე მოქნილ და ამიტომაც ყველაზე საშიშ სახეს.

ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ნაციონალური განსხვავებანი უნდა გაქრეს, ხოლო ნაციონალური ენები სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვებამდე უნდა შედუღდნენ საერთო ენად ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ლენინი პირიქით, რაღაც პირდაპირ საწინააღმდეგოს ამბობდა, სახელდობრ იმას, რომ "ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის ...ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შემდეგაც კი".

მოყვანილი ციტატა ნათლად გვიჩვენებს, რომ კომპარტიამ მთლიანად უღალატა ლენინიზმს. იგი მხოლოდ ფარად იყენებს ლენინის სახელს და ცდილობს მისი ავტორიტეტიდან გამომდინარე განახორციელოს ბარბაროსული აქტი ერების ასიმილაციისა.

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ ნაციონალური საკითხი. წარმოვაჩინეთ რუსეთსა და მოკავშირე რესპუბლიკებში დემოკრატიული და ეროვნული მოძრაობის გამომწვევი მიზეზები.

კომპარტიას არ შეუძლია ამ ობიექტური მიზეზების ლიკვიდაცია, პირიქით, ცხოვრების წინსვლასთან დაკავშირებით ისინი უფრო დაუფრო, მთელი სიცხადით გამოიკვეთებიან. ეს ცხოვრების რეალური კანონია. ეკონომიური კრიზისთა გაღრმავება სსრ კავშირში გარდაუვალია. ამის ძირითადი საწინდარია სახელმწიფო კაპიტალიზმისა მმართველი ბიუროკრატიის არსებობა. ვერც ერთ ამათგანზე კომპარტია უარს ვერ იტყვის, რადგან სწორედ ესენია მისი როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური დასაყრდენი. საკუთარი საფუძვლების ნგრევას კი თავისი ნებით კომუნისტები არ დაიწყებენ.

ეკონომიკურ კრიზისს ჩვენ შევეხეთ იმდენად, რამდენადაც იგი არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ქვეყანაში დემოკრატიული და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ამდენად ჩვენ იგი განვიხილეთ, როგორც არსებული და არ ჩავატარეთ მკაცრი ანალიზი მისი გამომწვევი მიზეზებისა. მხოლოდ უბრალოდ იქნა აღნიშნული, რომ იგი გამოწვეულია ბიუროკრატიული აპარატის მოუქნელობით, სახელმწიფო კაპიტალიზმის არსებობის გამო. მოვიყვანეთ ყველასათვის ცნობილი ფაქტები. იქვე იქნა აღნიშნული და კიდევ გვინდა გავიმეოროთ, რომ სახალხო მეურნეობა სსრ კავშირში, მისი კრიზისული მდგომარეობის ახსნა და დასაბუთება შორს წაგვიყვანდა. იგი ცალკე კვლევის საგანია და სხვა დროს შევეცდებით მის გაანალიზებას.

შედარებით სრულადაა განხილული მეორე მიზეზი ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობისა - ერების ასიმილაციის ცდა. ეს საკითხი ჩვენთვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პარტიისათვის ცენტრალური საკითხია. იგი სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს ქართველი ერისათვის. ამის შედეგია სტატიაში მოცემული დეტალური აღწერა, როგორც 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლის, ასევე ენის საკითხის გარშემო. ჩვენ ნათლად, ფაქტობრივად დავასაბუთეთ კომპარტიის მიერ ლენინიზმის ღალატი. აღვნიშნეთ ისიც, რომ კომპარტია, მისი ლიდერები ერების ასიმილაციას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად თვლიან საშინაო პოლიტიკაში და თუ მათ მარცხი განიცადეს კონსტიტუციის მიღების დროს, ეს სრულებით არ გვაძლევს დამშვიდების საშუალებას, რადგან მმართველი ზედაფენა შეეცდება სხვა გზები მოძებნოს, სხვა ხერხები გამოიყენოს და უმტკივნეულოდ, დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების გარეშე მოაგვაროს საქმე. ამის მაგალითები უკვე გვხვდება. ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებანი თითქმის მთლიანად რუსულ ენაზე აწარმოებენ საქმეებს. ვეებერთელა ადგილი უჭირავს საქართველოს ტელევიზიის გადაცემებში მოსკოვის ტელევიზიის პროგრამას, თუმცა ეს სრულებითაც არ წარმოადგენს აუცილებლობას, რადგან თითქმის ყველა მსურველს შეუძლია უბრალოდ გადართოს ტელევიზორი მოსკოვის არხზე. საქმის ასეთი რეალობა არ გვაძლევს საშუალებას მორალური კმაყოფილებისათვის, არ გვაძლევს უფლებას, თუნდაც წუთიერად მოვადუნოთ ყურადღება, რადგან ასეთი მოდუნება შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ქართველი ერისათვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მუშაობა ძირითადად აქეთკენაა მიმართული . მისი წმიდათა წმიდა მოვალეობაა იხსნას ქვეყანა ეროვნული გადაგვარებისაგან, გამოიყვანოს ეკონომიკური კრიზისიდან და მოუპოვოს დამოუკიდებლობა. მისი ვალია, ფხიზლად ადევნოს თვალი მთავრობის ყოველგვარ მოქმედებას, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში; დროულად ატეხოს განგაში და ხალხთა მასებს მოუწოდოს მხარდაჭერისაკენ.

ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის არა მარტო სრპ წევრების, არამედ მთელი საზოგადოებისა და ყოველი პატიოსანი მოქალაქის ვალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენი თუ მათი მუხრანი

ისინი "რეალობაზე", სიმშვიდესა და სიწყნარეზე ლაპარაკობენ.
ისინი ორმოცსაუკუნოვანი მშობლიური ენის "განვითარებასა" და კომუნისტური პარტიის მიერ დაცვაზე ლაპარაკობენ, ყბედობენ.
ისინი, რომელთა გენები ათასწლეულთა სიღრმეებში იკარგებიან, გუშინ მოსულ ხალხს უფროს ძმას უწოდებენ.
ისინი ადამიანებივით ბრაზობენ, იცინიან და ისინიც ქართველები არიან.

ჩვენ ოცნებაზეც აღელვებაზე და ხმაურზე ვლაპარაკობთ.
ჩვენ ქართული ენა საკმარისად განვითარებულად და სწორედ კომუნისტური პარტიისაგან დასაცავად მიგვაჩნია.
ჩვენ, ვისი გენებიც ათასწლეულთა სიღრმეებში იკარგებიან, გუშინ მოსულ ხალხს უმცროს მოსწავლეებად ავიყვანდით.
ჩვენ ვწუხვართ, ვიბრძვით და ჩვენც ქართველები ვართ.

— ვისია მუხრანი, ჩვენი თუ მათი?
— ეს საკითხავია?!

თურმე ოდესღაც "მოვა დრო, როცა ყოველ სახელოსნოს თავისი შტატიანი მეოცნებე ეყოლება; როცა ყოველ ფაბრიკას ექნება თავისი პოეტური ბიურო. ნება ბრმაა და შეზღუდული, თუ მას ოცნება არ შეუძლია" (გ. ბაშლიარი). რა კარგი რამაა ღმერთო, რა კარგი ოცნება...

კი მაგრამ ვისთვის მოვა ეს დრო?
ნუთუ ოდესმე არაქართველი ბავშვები მომავლის სკოლაში ყოველგვარი ტანჯვისა და წუხილის გარეშე იტყვიან - "აი, აქ იყო ისტორიული საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ცხოვრობდა ქართველი ხალხი, რომელიც ისევე აღიგავა
პირისაგან მიწისა, როგორც შუმერი და ბაბილონი"?
ეს უსიხარულო და შემაშფოთებელი პერსპექტივა აზრს
მოკლებული სულაც არ არის, ისინი კი, განათლებულნი,
ამას ბუნებრივად მიიჩნევენ, ასე ვთქვათ, "ისტორი-
ულ კანონზომიერებად"; უკეთუ მათგან რომელიმეს ეჭვი ეპა-
რება, მხოლოდ იმაში, რომ საქართველო ვერ აღმოჩნდება
ღირსი ზემოხსენებულ სიაში მოხვედრისა.
- ისინი გვესვრიან უზარმაზარ სიტყვიერ ლოდებს -
"ისტორია", "დიალექტიკა", "პატარა ხალხები"... მერე
რადიო, ტელევიზია და ოფიციალური, ყვითელზე საძაგე-
ლი, წითელი პრესა ჩაერევიან საქმეში და გვეტყვიან
ბრძნულ აზრებს - "სამშობლო მარტო ლამაზი მთები რო-
დია" - თურმე ვიღაცას სამშობლო მარტო ლამაზი მთები
(მდინარეები, ტბები და ა.შ.) და ასეთ "გონებამწირ"
ადამიანს უხსნიან, რომ სამშობლო სწორედ ლამაზი
მთების მიღმაა, სამშობლო ვ.ი. ლენინია, კომუნისტური
პარტიაა, კონსტიტუციაც სამშობლოა... ერთი სიტყვით
ყველაფერი სამშობლოა, მხოლოდ საქართველოა ისეთი რამ,
რაც არ არის სამშობლო; იმიტომ კი არა, რომ პატარაა
"მცირე მიწა" ხომაა სამშობლო და, ვაი, რომ სასაფლა-
ოც უამრავი ქართველისათვის), არა, მხოლოდ იმიტომ,
რომ მათ ასე უნდათ.

წითლებს რომ ლიტერატურა ძლიერ უყვართ, ამას
ვერა და ლიტერატურისა რომ ძლიერ ეშინიათ, ამას
მარტო რეპრესირებული მწერლების უბრალო ჩამოთვლაც
დაადასტურებდა; მაგრამ ისინი მაინც "მშობლიური
სიყვარულით" "ზრუნავენ" ლიტერატურაზე. ლიტერა-
ტურული გემოვნება კი მართლაც საოცარი და ნოვატო-
რული აქვთ - ლენინურ პრემიას ლიტერატურის დარგში
ისინი ანიჭებენ ლ.ი. ბრეჟნევს, ახალგამომცხვარი
მწერლისა და დიდი ხნის პოლიტიკური ლეშის "ტრილო-
გიას" - ჭეშმარიტად საოცარია, უფალო, საქმენი
შენნი!

მერე ამ ფანტასტიური "ტრილოგიის" კითხვით ჭკუა-
ნაღრძობი ხალხი მოგვიბრუნდება და უტიფრად გვკითხავს:
"ნუ, რა არის თქვენი(!) რუსთაველი?"
და ისინიც ქართველები არიან.

ისინი კულუარებში ირონიულად მოიხსენიებენ იაკობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცესს, იოვანე საბანისძეს, მერჩულეს, თვით შოთას...

მათი მოდგმის კაცმა ვაჟა-ფშაველას გაუნათლებლობა დასწამა...
ჩვენი ღმერთი ილიაც მათი მოკლულია.

მღვრიედ მიედინება მათი გადაგვარებული სისხლი მათს გადაჯიშებულ ძარღვებში და ფოტოსაქმეებისათვის გამოყოფილ ოთახივით ჩაბნელებულ ტვინს არაქართულ და არაადამიანურ "აზრებსა" და "იდეებს" აშობინებს. ერთმა ასეთმა ვაიქართველვაიადამიანმა (სხვათა შორის ის კაცი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია) ახლახან ბრძანა: ქართულ ენას პატივი როგორ არა ვცე, როცა დარბაზში აკაკი შანიძე ზისო. პრეზიდენტის ტვინში "საქართველოს" განყოფილებაში ისეთი საჰარაა, მთელმა აკადემიამაც რომ მოინდომოს, ერთ პატარა ოაზისსაც ვერ იპოვის.

ასეთები არიან ისინი.

არადა:
შენ -
სისხლო ჩემო -
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, -
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.

არადა:
ისე როდია მართლა საქმენი,
როგორც ზოგიერთ ვინმეს ჰგონია:
გზას არ დაჰკარგავს სანთელ-საკმელი,
კვლავაც იპოვნის,
ვით უპოვნია.

ჩვენი სისხლი ხმაურობს და არა მათი.
ოცნება ახმაურებს ჩვენს სისხლს.
საქართველოს კი მხოლოდ ერთი ოცნება შეიძლება ჰქონდეს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თავისუფლება!

ვისაც თავისუფლებაზე არ უოცნებია, ის ან ქართველი რა არის, ან მას არაფერზე არ უოცნებია.

ადამიანს მისჯილი აქვს იყოს თავისუფალი. ბრძენის ნათქვამია ეს.

საქართველოს კი მისჯილი აქვს იყოს თავისუფალი? ახლა ქვეყანას უფლებაც არა აქვს თავისუფალი არ იყოს.

თავისუფლების სამოთხეს კი ჯოჯოხეთის გაუვლელად ვერ მიაღწევ. სწორედ ამაზე დარდობს პოეტი:

იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა,
იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!
მაგრამ მე მაინც სევდას მგვრის ახლა -
არც ისე იგი,
რაც უკვე მოხდა,
როგორც ის -
აწი რაც უნდა მოხდეს!

და მაინც მოხდება! თუნდაც აღემატებოდეს მტრედებს ყვავები!

სახეს პირვანდელს უბრუნდება
ნივთი ხილვადი.
ნივთი ხილვადი
უბრუნდება სახეს პირვანდელს.
რაც რამ ფეხზეა,
იმიტოა,
რომ დაყირავდეს.

ვისია მუხრანი, ჩვენი თუ მათი?
ეს საკითხავია?!
ყოველნაირად შეგვეცილებიან მუხრანს.
მათ აქვთ ამისთვის ყველაფერი.
მერედა ჩვენ მივცემთ?
არა!
წაგვართმევენ მუხრანს?
ვერა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველებში ცოტანიღა დაგვრჩნენ "საქართველოში გაჩენის ღირსნი", ცოტანიღა დაგვრჩნენ, ვისაც ვერ დაადუმებენ, ვერ დასძლევენ, თუნდა ჩაჰქოლონ, რადგან:

ვერ შეაჩერებს ფერაფერი სიტყვას გაბედულს!

ქართველი ხალხი არის შემოქმედი გასაოცარი მუსიკისა, ფანტასტიური ქორეოგრაფიისა, ზღაპრულად სადა არქიტექტურისა... პარნასის დედოფლები ყველაფრით წყალობდნენ ჩვენს სამოთხე სამშობლოს, მაგრამ საქართველო , უპირველეს ყოვლისა, პოეზიის ქვეყანაა; რუსთაველის ეპოსი ერთ რომელსამე არაქართველ ხალხს მთელი პოეზიის ისტორიად ეყოფოდა; გალაკტიონს რითმები აქვს, ერთ სიცოცხლედ ღირს; გურამიშვილს წუხილი აქვს, ას თაობას რომ ეყოფა, იმდენი; ვაჟას ერთი პერსონაჟი სხვების ათასს აიწონის; ილიას სიყვარული ქართველებისა მილიონი სხვის სიყვარულს დასჯაბნის; ჩვენი ენა! ენა, რომლითაც სრულიად ყველაფრის და კიდევ უფრო მეტის გამოთქმა შეიძლება.

ჩვენი დღევანდელი პოეზიაც, მიუხედავად წითელი ტერორისა, იუდა-კრიტიკოსების პირდაპირი და ირიბი ნადირობისა პოეზიასა და პოეტებზე, ცენზურის გლობალური და სასტიკი მარწუხებისა, მაინც ცოცხალია. ამის ნათელი დადასტურება ისიცაა, რომ მთელი სახელმწიფო ზრუნავს ე.წ. "ოფიციალურ ტალანტებზე", მათი რეკლამისათვის იყენებს ყოველგვარ საშუალებას და მაინც პოპულარობას ისინი კი არა, სხვა, ნამდვილი ტალანტები იჩენენ. ასეთი ნამდვილი, არარეკლამირებული (არამედ პირიქით) პოპულარობა მოუხვეჭია ჩვენში მუხრანს და ეს უბრალო რამ არ გახლავთ. ეს, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ მისი პოეტური მარცვალი წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ და ნოყიერ ნიადაგში მოხვდა და გაღვივდა. მუხრანის პოპულარობა წმინდა პოეტური გემოვნების გარდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ სიჯანსაღესაც ნიშნავს. ამიტომ არიან დაშინებულნი

ძლიერნი ამა სოფლისანი. ამიტომაა, მისი საღამოები რომ ინიშნება და არ იმართება, ან იმართება და ნახევრადოფიციალურად აფერხებენ მათზე დასწრებას. მაგრამ რაკი ყოველთა შემაჩერებელმა და შემაფერხებელმა წითელმა ისკარიოტებმა "განუხრელი ზრუნვით" ვერ შეაჩერეს, ველარაფერი შეაჩერებს სიტყვას გაბედულს. მუხრანის წიგნები რჩებიან იმ უიშვიათეს წიგნებად ჩვენს სინამდვილეში, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს, კარგად ნათქვამ სიმართლეს შეიცავენ და რომლებიც ზეპირად იცის მთელმა ხალხმა.

"თქმა მართლისა" მუხრანის უძირითადესი პრინციპია. მერედა, იტყვიან ისინი, სულ ეს არის პოეზიაო? არ დაგვავიწყდეს, რომ ავტორიტეტებით ჟონგლიორობასა და დემაგოგიაში მათი მასწავლებლები მარქსიზმის კლასიკოსები იყვნენ, ხოლო ისინი კარგი მოსწავლეები აღმოჩნდნენ. დაიმოწმებენ ავტორიტეტს და გვეტყვიან: "პოეზიაში მთავარია არა რა, არამედ როგორ". ჩვენც ნუ დავუწყებთ კირკიტს და ნუ შევახსენებთ, რომ ფორმასა და შინაარსს შორის ისინი ადრე უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ; ნუ დავწამებთ მათ უპრინციპობას - ეს ხომ მათი მთავარი პრინციპია. "როგორ?"ვუპასუხოთ: "მუხრანთან მშვენივრად".

მუხრანის როგორ, რასი არ იყოს, სიმართლეში მდგომარეობს, ამჟამად, მხატვრულ სიმართლეში.

ვისაც არა სჯერა, გაიხსენოს ქართულ სუფრაზე ვინ იცის რამდენგზის და როგორი რაკურსით ნათქვამი სადღეგრძელოები ჩვენს სიმცირეზე, მტერთა სიმრავლეზე, ღმერთზე, რომელმაც გაგვწირა ან რომელიც გვწყალობდა და ა.შ. და მათ მუხრანის ერთი ლექსი შეუდაროს (რა ერთნაირად ჩავთვალოთ)

ამას არ უნდა დასტური სხვისი!-
კარგა ხანია ვიცი:
მიწყივ მცირენი ვიყავით რიცხვით,
მტერი გვჭარბობდა მიწყივ.

ყველგან: ყანაში, ზვარში, წისქვილში, -
ხელი გვეკიდა თოფზე...
იესო ქრისტეც, გარდა რისხვისა,
გვწყალობდა კიდეც ზოგჯერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვენზე აგდია, - ჟანგის ულუფა, -
პაპის ნაქონი თოფი...
გულზე მასივებს დაკარგულობა
ორთა ურთიერთნდობის.

( ხაზგასმა ჩვენია )

აი, რა მოუვიდა ჩვეულებრივ რა-ს. მესამე სტრო-ფში ნახსენები ჟანგიანი თოფი რომ პატრონს მოელის, აქ, რა-ში კი არ არის გაცხადებული, არამედ რომორ-ში. რა-ს და რომორ-ის სწორი პროპორცია მუხრანის პოეტური კრედოა.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი პრინციპი, უმ-თავრესი და უძირითადესი ყველა დროის, ყველა ქვეყნის პატრიოსანი პოეტისათვის, რომელიც რა-დან რომორ-ად ვაჟას უთარგმნია და რომელსაც მუხრანი სუფთა გულით მოაწერდა ხელს:

დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომჭერძო,
ბილწთ არ შავჭვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!...

მუხრან მაჭავარიანი ორმოცდაათი წლისაა. სხვებს ჩვენც ვუერთდებით და ვუსურვებთ მოსწრებოდეს "ცოცხით ხელში მომავალ მკაცრ და სუფთა" მერმისს კაცი, რომელსაც ადარდებს ის ამბავი, რომ ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუაჲ გვეცლება ქართლი თვალდახელშუა. მოსწრებოდეს ამ მერმისს კაცი, რომელმაც იცის, რომ სისხლით დაცული ანბანი სათამაშო არ არის, ამ ანბანით, თუნდ სისხლის ფასად, მხოლოდ სი-მართლე უნდა დაიწეროს, სისხლზეც უნდა დაიწეროს, დასაღვრელ სისხლზე, მოსწრებოდეს ამ მერმისს კაცი, რომელიც ახლა ჩვენი და ჩვენი ბავშვების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასწავლებელია, რომელსაც იმედი არ დაუკარ-
გავს.

X არა, რა გაუმტყუნებს იმედს.

მაშ, ვისია მუხრანი, ჩვენი თუ მათი?

ეს საკითხავია?!

ფეხის წვერებზე, ღელის გაღმა, იწევს

ს ა მ რ ე კ ლ ო .

ა რ  გ ა მ ო ი ხ ე დ ა ვ ე ნ  ა ქ ე თ ?

დ. დადიანი

# საქართველოს რესპუბლიკური პარტიის (სრპ) წესდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი I

### პარტიის წევრთა მოვალეობანი და უფლებანი

1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს მის წესდებასა და პროგრამას, ასრულებს პარტიის გადაწყვეტილებებს, მუშაობს ერთ-ერთ პირველად ჯგუფში და იხდის საწევროს.

2. პარტიის წევრი მოვალეა:
-იბრძოლოს პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის;
-დაიცვას პარტიული კონსპირაცია;
-იცავდეს პარტიის წესდებას.

3. პარტიის წევრს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში.

4. პარტიის წევრს უფლება აქვს წამოაყენ[illegible]
მიერი წინადადება, რომელიც მიზანშ[illegible]
ასეთი წინადადების მიღების [illegible]
იქცევა კანონად, [illegible]
მაშინ პარტ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი II

## ორგანიზაციული წყობა

1. ორგანიზაციული წყობა დემოკრატიულია.
2. პარტიაში ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია ხმების ორი მესამედი.
3. პარტიის საქმიანობას განაგებს პარტიის კომიტეტი.
4. პირველადი ჯგუფები ანგარიშვალდებულნი არიან პარტიის კომიტეტისადმი.
5. პარტიის უმაღლესი ორგანოა პარტიის ყრილობა.

## თავი III

## ფულადი სახსრები

1. პარტიის ფულადი სახსრები შედგება საწევროსაგან, სხვა შემოსატანისაგან.

მინიმალური თვიური საწევრო – 10 მანეთი.

ნხა ინახება პირველად ჯგუფში.